

2000



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

ა ა ბ გ დ

PROCEEDINGS

ИЗВЕСТИЯ

ეკონომიკის სერია

ECONOMIC SERIES

СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ



ტომი
volume
TOM

8

2000

№1-2

თბილისი * TBILISI * ТБИЛИСИ

სარედაქციო კოლეგია

ვ. პაპავა (მთავარი რედაქტორი), ა. ადვაძე, თ. ბერიძე, ჰ. გიორგაძე,
ბ. კურატაშვილი, ი. მესხია, ნ. პაიჭაძე, რ. მითაიშვილი, ა. სილაგაძე,
თ. ჩიკვაძე, ლ. ჩიქავა, ვ. წერეთელი (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
მ. ჯიბუტი

EDITORIAL BOARD

V. Papava (Editor-in-Chief), V. Advadze, T. Beridze, L. Chikava, T. Chikvaidze,
M. Djibuti, H. Giorgadze, A. Kuratashvili, Y. Meskhia, R. Mitaishvili, N. Paichadze,
A. Silagadze, G. Tsecreteli (Deputy Editor-in -Chief)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

В. Г. Папавა (главный редактор), В. С. Адвадзе, Т. А. Беридзе,
Г. Г. Гиоргадзе, М. Ч. Джибути, А. А. Кураташвили, Я. Е. Месхия,
Р. А. Митаишвили, Н. Н. Пайчадзе, А. Н. Силагадзе, Г. Ш. Церетели
(зам. главного редактора), Л. Л. Чикава, Т. Н. Чиквадзе

380007, თბილისი, კიკოდის 14, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ბ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
ტელ. (8832) 996-853, ფაქსი: (8832) 998-389
ელექტრონული ვერსია <http://georgia-gateway.org/matsne/>

Gugushvili Institute of Economics, The Georgian Academy of Sciences,
14, Kikodze street, Tbilisi, 380007, Georgia
tel: (8832) 996-853, Fax: (8832)998-389
Electronic version <http://georgia-gateway.org/matsne/>

Грузия 380007, Тбилиси ул. Кикодзе, 14
Институт Экономики им. П.Гугушвили АН Грузии
тел. (8832)996-853, факс (8832)998-389
Электронная версия <http://georgia-gateway.org/matsne/>



სამართიქელოს მეცნიერებათა აკადემია
 THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
 АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

მ ა წ ბ ე
PROCEEDINGS
ИЗВЕСТИЯ

ეკონომიკის სერია
ECONOMIC SERIES
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ

ტომი 8 N 1-2

volume 8 N 1-2

ТОМ 8 N 1-2

ჟურნალი დაარსდა 1992 წლის ოქტომბერში
 The journal is established in October, 1992
 Журнал основан в октябре 1992 г

გამოდის წელიწადში 4-ჯერ
 The journal is published 4 times a year
 Выходит 4 раза в год

43

თბილისი “მეცნიერება”
ТВИЛИСИ “МЕТСНИЕРЕВА”
ТБИЛИСИ “МЕЦНИЕРЕБА”
2000

შინაარსი

მესხია იაკობი, ცაავა გიორგი	
საკრედიტო ექსპანსიისა და დეპოზიტური მულტიპლიკაციის შესახებ	3
ანანიშვილი იური	
მოკლევადიანი პერიოდის მაკროეკონომიკური მოდელი დარგთაშორისი კავშირების ბლოკით	20
წერეთელი გიორგი, აბესაძე რამაზი	
საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მდგომარეობა და მისი სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები	39
ო'ბრაიანი ჯონ კონვეი	
ფრიდის ცივილიზაცია ბირთვულ ეპოქაში	49
წესები ავტორთათვის	67

CONTENTS

Meskhia Yakob, Tsaava George	
Methodology Problems of Deposit Multiplier and Credit Expansion in Banking System	3
Ananiashvili Iuri	
Short-term Macroeconomic Model with the Block of Intersectoral Links	20
Tsereteli George, Abesadze Ramaz	
The Situation of Energy Sector of Georgia and Main Trends of its State Regulation	39
John Conway O'Brien	
Freud's Civilization Revisited in the Nuclear Age	49
Instruction to Authors	67

СОДЕРЖАНИЕ

Месхия Яков, Цава Георгий	
О депозитной мультипликации и денежной экспансии	3
Ананишвили Юрий	
Макроэкономическая модель с блоком межотраслевых связей для краткосрочного периода	20
Церетели Георгий, Абесадзе Рамаз	
Состояние энергетического сектора Грузии и основные направления его государственного регулирования	39
О'Брайен Джон Конвей	
Цивилизация Фрейда в ядерной эпохе	49
Правила для авторов	67

საპრეზიდენტო მქსპანსიისა და დეპოზიტური მულტიპლიკაციის შესახებ

მესხია იაკობი, ცაავა გიორგი
380091, თბილისი, თეშქა, X | მ/რ, | კვ.
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან
არსებული ფინანსების სამეცნიერო
კვლევითი ინსტიტუტი
შემოვიდა 1999 წლის 18 ნოემბერს

21915

რეზიუმე. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი სავალდებულო რეზერვების ნორმატივი (სარეზერვო მოთხოვნა), რომლის საშუალებით ხდება საბანკო სესხებისა და დეპოზიტების დინამიკაზე ზემოქმედება. ეროვნულ ბანკში დეპონირებული სავალდებულო რეზერვების მოცულობის გაზრდა ან შემცირება შესაბამისად ამცირებს ან ზრდის კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალს. სარეზერვო მოთხოვნა კომერციულ ბანკებზე ზემოქმედებს როგორც გადასახადი, ამცირებს მიმოქცევაში არსებული ფულის მასას, ამცირებს კრედიტებს, შესაბამისად ამცირებს მათზე მოთხოვნას და საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალდებულო რეზერვების ნორმატივი მაღალია და საჭიროა მისი შემდგომი ოპტიმიზაცია. ასეთი მიდგომა განპირობებულია იმითაც, რომ მსოფლიო პრაქტიკაში თანდათანობით რბილდება სარეზერვო ნორმატივის დამცავი ფუნქცია და მის ადგილს იკავებენ სპეციალიზებული სადაზღვევო კომპანიები. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ექსპერიმენტული მოდელით დგინდება, რომ საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ღია ბაზარზე შესაძლებელი ხდება დეპოზიტური ექსპანსიისა და ფულადი მასის ზრდის შეჩერება. საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილია სარეზერვო ფონდის ნაშთებზე ანაზღაურების საბაზრო განაკვეთის დონემდე გაზრდა. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ისეთნაირი ტრანსფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტების გაიაფებას და შესაბამისად ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას.

* * *

ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფის საქმეში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ფულად-საკრედიტო ანუ მონეტარულ პოლიტიკას უკავია, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ მიმოქცევაში არსებულ ფულად მასაზე ზემოქმედებას [1,

გვ.19]. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად ეკონომიკურ ინსტრუმენტებს და მეთოდებს წარმოადგენენ ეროვნულ ბანკში დეპონირებული სავალდებულო რეზერვების ნორმატივები (სარეზერვო მოთხოვნები), ღია ბაზარზე ოპერაციები, კომერციული ბანკების რეფინანსირება, სავალუტო რეგულირება და ფულადი მასის ცვლილება. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სემოქმედების გზით ეკონომიკის რეგულირება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომლის მთავარ მიზანს სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევა, უმუშევრობისა და ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნება და ფასების სტაბილიზაცია წარმოადგენს. დღეისათვის საქართველოში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა დაიკავოს ფულად-საკრედიტო სფეროში რეზერვების ძიებამ. ამ მიზნით ჩვენს მიერ შემოთავაზებულია მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სადეპოზიტო-საკრედიტო ექსპანსიის გზით დეპოზიტური მულტიპლიკატორის მრავალჯერად გაფართოებულ გამოყენებას.

ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ოპტიმალურობაზე ბევრადაა დამოკიდებული. ამ უკანასკნელს კი მნიშვნელოვნად განაპირობებს ოპტიმალური სადეპოზიტო პოლიტიკა. საკმარისია აღინიშნოს, რომ უმეტეს ქვეყნებში მთლიანი ფულადი მასის 75-90%-ს შეადგენს საბანკო დეპოზიტები და მხოლოდ 25-10%-ს ცენტრალური ბანკის ბანკნოტები. ამიტომ ფულად-საკრედიტო სფეროს სახელმწიფო რეგულირება წარმატებული შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ცენტრალური ბანკის მეშვეობით შეძლებს კომერციული ბანკების ოპერაციების მასშტაბებზე და ხასიათზე შემოქმედებას. ცენტრალური ბანკი საბანკო სესხების და დეპოზიტების დინამიკაზე გავლენას ახდენს სავალდებულო რეზერვების სისტემის მეშვეობით. ბანკების სარეზერვო პარამეტრების რეგულირებით, მას შეუძლია კრედიტებისა და შესაბამისად დეპოზიტების შემცირების ან გაზრდის მეშვეობით ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს. აღნიშნულის არსი მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს განსაზღვრული ურთიერთკავშირი ცენტრალური ბანკში კომერციული ბანკების მიერ სავალდებულო რეზერვების სიდიდისა და ბანკების საკრედიტო ოპერაციების მასშტაბებს შორის. საბანკო სესხების გაზრდა გამოიწვევს დეპოზიტების გადიდებას და, აქედან გამომდინარე სავალდებულო რეზერვების გაზრდის აუცილებლობას, სესხების შემცირება კი იწვევს საწინააღმდეგო შედეგებს.

აღნიშნულმა დამოკიდებულებამ საკრედიტო-სადეპოზიტო მულტიპლიკაციის სახელწოდება მიიღო, რაც ნიშნავს დეპოზიტების გაფართოებას ნებისმიერი ახალი რეზერვების გაზრდის გზით, რომელსაც საბანკო სისტემა დებულობს მთლიანობაში. აღნიშნული ეფექტი ამოქმედდება მიუხედავად იმისა, შეძლებს თუ არა თითოეული ცალკეული ბანკი დეპოზიტების ჭარბ რეზერვებზე მეტი რაოდენობით გაფართოებას [2, გვ. 232-233].

მაგალითად, თუ ბანკი, რომელმაც დეპოზიტების სახით 1000 ლარი მიიღო და უნდა ჰქონდეს დეპოზიტების თანხიდან 10%-ის ტოლი

სავალდებულო რეზერვები, მაშინ დარჩენილი 90% ანუ 900 ლარი ნაღდი ფულის მოცულობით, მას შეუძლია გახარჯოს სესხებზე. თუ კლიენტი, რომელმაც მიიღო სესხი, მიღებულ სახსრებს გამოიყენებს ვალების გადასახდელად ან საქონლის შესაძენად, მაშინ 900 ლარი სხვა პირების ხელში გადავა, რომლებიც გაზრდიან თავის შენატანებს ბანკებში. ამ გზით ერთი ბანკის საღაროდან გასული 900 ლარი მოხვედება სხვა ბანკების საღაროებში. უკანასკნელები კი თავის მხრივ რეზერვების სახით 10%-ის ეროვნულ ბანკში დარეზერვებით, დანარჩენ თანხებს გამოიყენებენ ახალი შემოსავლების მომტან აქტივებში. ამ შემთხვევაში მათ შეეძლებათ მხოლოდ 810 ლარის გამოყენება, რომლებიც გადავა შემდეგ ბანკში და ამ უკანასკნელს კვლავ მიეცემა მის ხარჯზე ახალი დეპოზიტების შექმნის საშუალება. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულმა ბანკმა სესხის სახით ვასცა მხოლოდ 90%-ის მოცულობის ფული, რომელიც მან მიიღო კლიენტისაგან დეპოზიტის სახით, ყველა ბანკებმა მთლიანობაში ბოლოს და ბოლოს გააფართოვეს თავიანთი სესხები თანხით, რომელიც 9-ჯერ აჭარბებს საწყისი დეპოზიტის თანხას, ანუ 9000 ლარით. ამრიგად, ერთი ბანკის მიერ დეპოზიტებში მიღებული 1000 ლარის მოცულობით საბანკო სისტემაში მოხდა ერთობლივი დეპოზიტების ფორმირება 10000 ლარის თანხის ოდენობით, რომელიც 10-ჯერ აჭარბებს თავდაპირველად მიღებული დეპოზიტების თანხებს. აღნიშნული დებულების ილუსტრაცია მოცემულია 1 ცხრილში.

ცხრილიდან ჩანს, რომ თითოეული ბანკი, რომელიც დებულობს დეპოზიტებს, თავის რეზერვებს დაუმატებს 10%-ს (10%-იანი სავალდებულო რეზერვის დროს), 16%-ს (16%-იანი სავალდებულო რეზერვის დროს) და 20%-ს (20%-იანი სავალდებულო რეზერვის დროს) მიღებული თანხიდან.

დეპოზიტებისა და რეზერვების გაფართოება მიმდინარეობს მანამ, სანამ 1000 ლარიანი (საწყისი) დეპოზიტი არ იქნება მთლიანად გამოყენებული სავალდებულო რეზერვების სახით, ხოლო დეპოზიტების თანხა არ გაფართოვდება 10000ლარამდე (10%-იანი სავალდებულო რეზერვების შემთხვევაში), 6250 ლარამდე (16%-იანი სავალდებულო რეზერვების შემთხვევაში) და 5000ლარამდე (20%-იანი სავალდებულო რეზერვის შემთხვევაში).

კანსიფულ მაგალითში ნაგულისხმევია, რომ კლიენტის მიერ ბანკიდან მიღებული ფულადი თანხა მთლიანად რჩება საბანკო სისტემაში, ანუ დეპონირდება ბანკებში და რომ ყველა ბანკები არ იტოვებენ ჭარბ რეზერვებს. მაგრამ პრაქტიკაში ბანკის მიერ გაცემული სახსრების რაღაც ნაწილი იხარჯება ნაღდი ფულის სახით (ხელფასების გაცემა, ნედლეულის და პროდუქციის ნაღდი ანგარიშსწორებით შექმნა და სხვა), რასაც მიეყვართ რეზერვების და შესაბამისად დეპოზიტების თანხების შემცირებამდე. ანალოგიურად ზემოქმედებს ბანკების მიერ ზედმეტი (ჭარბი) რეზერვების შექმნაც. ჩვენს შემთხვევაში (იხ. ცხრილის ბოლო სამი გრაფა), თუ პირველი ბანკი მიიღებს რა ახალ დეპოზიტს 1000 ლარის ოდენობით, გადარიცხავს სავალდებულო რეზერვების ფონდში კუთვნილ 160 ლარს (16%-იანი

დეპოზიტების მულტიპლიკაციური

ბანკები	სავალდებულო რეზერვების ნორმატივი=10%			სავალდებულო რეზერვების ნორმატივი =16%			იგივე, მხოლოდ პირველი ბანკიდან სესხის 10%-ის ოდენობით ნაღდი ფულის გატანით		
	მიღებული დეპოზიტების თანხა	სესხებზე ან ინვესტიციებზე გასაცემი თანხა	სავალდებულო რეზერვების თანხა	მიღებული დეპოზიტების თანხა	სესხებზე ან ინვესტიციებზე გასაცემი თანხა	სავალდებულო რეზერვების თანხა	მიღებული დეპოზიტების თანხა	სესხებზე ან ინვესტიციებზე გასაცემი თანხა	სავალდებულო რეზერვების თანხა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	1000	900	100	1000	840	160	1000	840	160
2	900	810	90	840	705,6	134,49	756	635,04	120,96
3	810	729	81	705,6	592,7	112,96	635,04	533,43	101,61
4	729	656,1	72,90	592,7	497,87	94,83	533,43	448,08	85,35
5	656,10	590,49	65,61	497,87	418,21	79,66	448,08	376	71,69
6	590,49	531,44	59,05	418,21	351,3	66,91	376,35	316,13	60,22
7	531,44	478,30	53,14	351,30	295,09	56,21	316,13	265,55	50,58
8	478,30	430,47	47,83	295,00	247,88	47,21	265,21	223,06	42,49
9	430,47	387,42	43,05	247,88	208,22	39,66	223,06	187,37	35,69
10	387,42	348,68	38,74	208,22	174,9	33,32	187,37	157,39	29,98
10 ბანკის ჯამი	6513,22	5861,9	651,32	5156,87	4331,77	825,10	4740,97	3982,40	758,57
სხვა ბანკების ჯამი	3486,7	3138,1	348,6	1093,13	918,23	174,90	1009,03	847,60	161,43
ყველა ბანკის ჯამი	10000	9000	1000	6250	5250	1000	5750	4830	920

- შენიშვნა: 1. 10%-იანი სავალდებულო რეზერვების დროს საკრედიტო-სადეპოზიტო მულტიპლიკატორი 10-ის ტოლია, 16%-იანის დროს 6,25-ის, 20%-იანის დროს 5-ის;
2. დეპოზიტების მულტიპლიკაციური გაფართოება პირველი ბანკიდან სესხის გარკვეული პროცენტის ოდენობით ნაღდი ფულის სახით გატანის შემთხვევაში, ნაღდი ფულის მასის გატანის გარეშე მიღებულ მოცულობასთან შედარებით მისი მოცულობა მცირდება ნაღდი ფულის პროცენტული გატანის 80%-ის ფარგლებში შესაბამისად და მას აქვს თანაბრად შემცირების ტენდენცია. მაგალითად: პირველი ბანკიდან

გაფართოების მოდელი
(ლარებში)

ცხრილი 1

იგივე, მხოლოდ პირველი ბანკიდან სესხის 50%-ის ოდენობით ნაღდი ფულის გატანით			იგივე, მხოლოდ ყოველი ბანკიდან სესხის 10%-ის ოდენობით ნაღდი ფულის გატანით			იგივე, მხოლოდ პირველი ბანკიდან სესხის 100%-ის ოდენობით ნაღდი ფულის გატანით		
მიღებული დეპოზიტების თანხა	სესხებზე ან ინვესტიციებზე გასაცემი თანხა	სავალდებულო რეზერვების თანხა	მიღებული დეპოზიტების თანხა	სესხებზე ან ინვესტიციებზე გასაცემი თანხა	სავალდებულო რეზერვების თანხა	მიღებული დეპოზიტების თანხა	სესხებზე ან ინვესტიციებზე გასაცემი თანხა	სავალდებულო რეზერვების თანხა
11	12	13	14	15	16	17	18	19
1000	840	160	1000	840	160	1000	840	160
420	352,80	67,20	756	635	121	-	-	-
352,80	296,35	56,20	572	480	92	-	-	-
296,35	248,93	47,42	432	363	69	-	-	-
248,93	209,10	39,83	327	275	52	-	-	-
209,10	175,64	33,46	247	207	40	-	-	-
175,64	147,54	28,10	186	156	30	-	-	-
147,54	123,93	23,61	140	118	22	-	-	-
123,93	104,10	19,83	106	89	17	-	-	-
104,10	87,44	16,66	80	67	13	-	-	-
3076,39	2585,83	492,56	3846	3230	616	1000	840	160
671,61	564,17	107,44	841,50	707,50	134,00	-	-	-
3750,0	3150,0	600,0	4687,50	3937,50	750,00	1000	840	160

გაცემული სესხის 10%-ის ოდენობით ნაღდი ფულის გატანისას დეპოზიტური მულტიპლიკატორის გაფართოების მოცულობა ნაღდის გაცემის გარეშე მიღებულ შედეგთან შედარებით შემცირდა 8%-ით (10%-ის 80%-ით), ანუ შეადგინა 6250; 5250 და 1000-ის 92%, რაც 5750; 4830 და 920-ის ტოლია შესაბამისად.

რეზერვის შემთხვევაში) და ზედმეტად (სიჭარბით) დატოვებს ამ ფონდში 840 ლარს (ან არ იაქტიურებს ჭარბი რეზერვების უკან დროულად დაბრუნებაზე), ან იმავე თანხას გაცემს ნაღდი ფულის სახით ან ნაღდი ანგარიშსწორებისათვის, მთლიანი პროცესი პირველსავე ეტაპზე დამთავრდება, დეპოზიტების მრავალჯერადი გაფართოების გარეშე. აღნიშნული მდგომარეობა მნიშვნელოვნად ამცირებს ეროვნული ბანკის მხრიდან სასესხო კაპიტალის ბაზარზე და ფულის მიმოქცევაზე ზემოქმედების შესაძლებლობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სავალდებულო რეზერვების მოქმედი ნორმატივები საკმაოდ მაღალია (20%-მდე), მაშინ როდესაც მისი მნიშვნელობები დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში 5-დან 12%-ის ფარგლებშია [3, გვ.356].

უცხოეთის ბანკების საქმიანობის პრაქტიკაში შეიმჩნება სარეზერვო მოთხოვნების საშუალო დონის შენცირების ტენდენცია და ნაწილობრივი კომპენსაციის შესაძლებლობების წარმოშობაც (პროცენტის გადახდა). შემცირების ტენდენცია შეიმჩნევა ყველა განვითარებულ ქვეყნებში უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. თუ 70-იანი წლების შუა პერიოდში სავალდებულო რეზერვების თანხების შეფარდება ფულადი მასის მოცულობასთან შეადგენდა: იაპონიაში 3-4%, ბრიტანეთში 7-8%, აშშ-ში 9%, საფრანგეთში 10-12%, გერმანიაში 11-14%, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 80-იანი წლების დასაწყისში შეადგინეს: ბრიტანეთში 1-2%, იაპონიაში და საფრანგეთში 3-4%, აშშ-ში 4-4%, გერმანიაში 7-8%, ინგლისმა კი 1981 წლიდან სავალდებულო რეზერვები საერთოდ გააუქმა. საქართველოში ეს მაჩვენებელი დღეისათვის შეადგენს 16%-ს.

საქართველოს ეროვნული ბანკის (და საერთოდ ცენტრალური ბანკების) მინიმალური, ანუ სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნები — მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მაკროეკონომიკური პროპორციების რეგულირებისათვის ბანკის თავისუფალი რესურსების მოცულობაზე ზემოქმედების გზით. სავალდებულო რეზერვების გაზრდა (შემცირება) კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალს ამცირებს (ზრდის) და შესაბამისად ცვლის მათ შესაძლებლობებს განახორციელონ აქტიური ოპერაციები. კომერციული თვალსაზრისით ცენტრალური ბანკის სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნის შესრულება ბანკების სახსრების გაყინვას ნიშნავს, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ საქმიანობაზე, განსაკუთრებით მაღალი ინფლაციის პირობებში. გარდა ამისა, ზემოქმედება, რომელსაც ახორციელებს ცენტრალური ბანკის სავალდებულო რეზერვების ნორმატივის მეშვეობით სადეპოზიტო-სარეზერვო მულტიპლიკატორებზე და სასესხო კაპიტალის ბაზრის სამომავლო პერსპექტივაზე, მიყვავართ იქითკენ, რომ სავალდებულო რეზერვების ნორმატივის უმნიშვნელო ცვლილებაც კი საკრედიტო ოპერაციების მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს. ამიტომ სავალდებულო რეზერვების ფონდის სახსრები ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობის გრძელვადიანი რეგულირებისათვის გამოიყენება, ამასთან სავალდებულო რეზერვების ნორმატივი არ შეიძლება საკრედიტო ორგანიზაციების საკრედიტო ვალდებულებების 20%-ს აჭარბებდეს და მათი ერთდროულად

შეცვლა (გაზრდა-შემცირება) ხუთ პუნქტზე უფრო მეტი მნიშვნელობით დაუშვებელია [3, გვ. 356]. ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის აღნიშნული მექანიზმი ღია ბაზარზე ოპერაციებისაგან განსხვავებით სასესხო კაპიტალის ბაზრის რეგულირებისათვის გამოსადეგი არ არის, რადგანაც მასზე დემასტაბილიზებელ ზემოქმედებას ახდენს. საკვალდებულო რეზერვების ნორმატივი საჭიროა მიმოქცევაში ფულადი მასის განსაზღვრულ დონეზე შენარჩუნებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ბანკების რეალური აქტივების შემცირება არა მარტო ფულის მსყიდველობითი შესაძლებლობების მკვეთრი შემცირებით აიხსნება (რომელიც ფულადი ემისიის ტემპების პირდაპირ პროპორციულია) არამედ, კომერციული ბანკების რესურსების ობიექტური შემცირებითაც, რომელიც თავის მხრივ მოსახლეობისა და სამეურნეო სუბიექტების უნაღლო დანახოების შემცირებით არის გამოწვეული.

კომერციული ბანკების რესურსების მოცულობის შემცირებას იწვევს ისეთი სუბიექტური ფაქტორი, როგორცაა ცენტრალური ბანკის მიერ ფულადი მასის ზრდის მკაცრი შეზღუდვა. როგორც წესი, ასეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარ ღონისძიებებად გვევლინება, ჯერ ერთი კრედიტის ღირებულების გადიდება (ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთის მნიშვნელობის მკვეთრი ზრდა) და მეორე, საბანკო სისტემის ერთობლივი რეზერვების შემცირება.

ცენტრალური ბანკის ემისიური (ახალი ნაღდი ფულის გამოშვება) საქმიანობიდან დამოუკიდებლად, ფულის მასის რაოდენობის ზრდა ხდება კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობის გაფართოების ხარჯზე. ბანკები ქმნიან ახალ ფულს, როცა იძლევიან სესხებს და, პირიქით, ფულის მასა მცირდება, როცა კლიენტები უბრუნებენ ბანკებს ადრე აღებულ სესხებს [7, გვ. 128].

ინფლაციური პროცესების დაჩქარებაში ბანკების მონაწილეობა საბანკო სისტემის მიერ ფულის შექმნის შესაძლებლობით აიხსნება, ანუ მაკროეკონომიკურ ასპექტში იგივეა, რაც ბანკების მიერ ფულადი მასის მულტიპლიცირების (რამოდენიმეჯერ გადიდება) შესაძლებლობა. სადეპოზიტო ექსპანსიას ანუ ფულადი მულტიპლიკატორის პროცესს (ფულადი მასის გაზრდას) ზღვარი არ ექნებოდა, მისი ზრდის ობიექტური და სუბიექტური შეზღუდვები რომ არ არსებობდეს.

ფულადი მასის მულტიპლიცირების ობიექტურ შეზღუდვებს წარმოადგენენ: საბანკო დაწესებულებების მიერ თავიანთ საქმიანობაში ლიკვიდურობის პრინციპის დაცვის მოთხოვნა, გასაცემი სესხების მოცულობის შემცირების აუცილებლობა ლიკვიდური რეზერვების სახით მოზიდული დეპოზიტების ნაწილის დეპონირების ხარჯზე და დეპოზიტური სახსრების ნაღდი ფულის სახით ამოღება. სუბიექტურ ფაქტორებს წარმოადგენენ: მთავრობის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც განისაზღვრება სახელმწიფო სავალუტო რეზერვების არსებობით, რომლის ერთ-ერთ ინსტრუმენტს საკვალდებულო რეზერვების ნორმატივი წარმოადგენს, რომელიც საბანკო სისტემის მარეგულირებელი ორგანოს აზრით, მისი ერთობლივი

ლიკვიდურობისა და საადრიცხვო საპროცენტო განაკვეთის სიდიდის შესანარჩუნებლად არის საჭირო.

ფულადი მულტიპლიკატორის (ϕ) მნიშვნელობა, ანუ საბანკო სისტემის როლი ფულადი მასის შექმნაში, მისი ორი აგრეგატის შეფარდებით განისაზღვრება: ნაღდი ფულის და მოთხოვნამდე დეპოზიტების ($M1$) ჯამის ნაღდი ფულის და საბანკო რეზერვების სიდიდის (Mh) ჯამთან შეფარდებით, ანუ $\phi = M1/Mh$ ფულადი აგრეგატი, რომელიც ნაღდი ფულისაგან და საბანკო რეზერვების სიდიდისაგან შედგება - ეფექტურ ფულს, ხშირად კი ფულად ბაზას უწოდებენ [2, გვ. 137].

იმასთან დაკავშირებით, რომ ფულადი მულტიპლიკატორის სიდიდის რეგულირებაზე მიმოქცევაში ფულადი მასის გაზრდის პროცესის კონტროლის მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი ზემოქმედებს ცენტრალური ბანკი და მთავრობა ფულადი მულტიპლიკატორის სიდიდის მნიშვნელობის ერთამდე შემცირებას აღწევენ და ამით რეგულირების აქცენტი გადააქვთ ეფექტური ფულის მასაზე, რომლებიც სახელმწიფოს მიერ შეიძლება ფულადი მასის მაკროეკონომიკური რეგულირებისათვის და სახელმწიფო ბიუჯეტის დასაფინანსებლად იქნეს გამოყენებული. აღნიშნული დებულება ლოგიკურად შემდეგი ტოლობიდან გამომდინარეობს: $M1 = \phi Mh$, სადაც მნიშვნელობა $\phi = 1$ $M1 = Mh$ ანუ ეფექტური $M1$ აგრეგატის ფულადი მასის ნაზრდს მთლიანად შეესაბამება, რაც ეკონომიკაში ფულადი მასის გაფართოების კონტროლის საშუალებას იძლევა.

საკრედიტო რესტრუქციის ღონისძიებათა შედეგად, პირველი ფულადი მულტიპლიკატორის მნიშვნელობის რამოდენიმეჯერ შემცირება, მაგალითად, რეზერვების 2-დან 20%-მდე გადიდება, მულტიპლიკატორის 50-დან 5-მდე, ანუ 10-ჯერ შემცირებას იწვევს, რაც მკვეთრად ამცირებს კომერციული ბანკების მონაწილეობას უნაღდო ფულადი მასის შექმნაში. ეს უკანასკნელი კი ცენტრალური ბანკის მხრიდან არაკონტროლირებადი ფულადი მასის ნაზრდის მინიმუმამდე შემცირებას ნიშნავს.

დეპოზიტების მრავალჯერადი გაფართოება, რომელიც საბანკო სისტემის რეზერვების ნაზრდით არის წარმოქმნილი, უბრალო დეპოზიტური მულტიპლიკატორის ცნებით აღიწერება. ეს მულტიპლიკატორი კეინსის მულტიპლიკატორთან არ უნდა გაავივივოთ, რომელიც ანალოგიური ნაბიჯური მეთოდით გამოიყვანება. კეინსიანური მულტიპლიკატორი შემოსავლის ნაზრდს ინვესტიციის ნაზრდთან აკავშირებს, მაშინ როდესაც უბრალო დეპოზიტური მულტიპლიკატორი დეპოზიტების რეზერვების ნაზრდთან აკავშირებს. მრავალჯერადი დეპოზიტური გაფართოების ფორმულა შემდეგნაირად შეიძლება იქნას ჩაწერილი [5, გვ. 390]:

$$\Delta D = 1/r_D \cdot \Delta R,$$

სადაც, Δ - არის საბანკო სისტემაში საჩეკო დეპოზიტების ერთობლივი მოცულობის ცვლილება;

r_D - არის სავალდებულო რეზერვების ნორმატივი;

ΔR - არის საბანკო სისტემის რეზერვების სიდიდის ცვლილება.

ფორმულის ალგებრული ამოხსნა დეპოზიტების მრავალჯერადი გაფართოების სხვაგვარად შეხედვის საშუალებას იძლევა, რადგანაც მასში საბანკო სისტემა მთლიანობაში არის გათვალისწინებული და არა თითოეული ბანკი ცალ-ცალკე. საბანკო სისტემისათვის დეპოზიტების შექმნა (ან შეცვლა) მთლიანობაში მთავრდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ჭარბი რეზერვები იქნება ლიკვიდირებული, ანუ საბანკო სისტემა წონასწორობაში იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სავალდებულო რეზერვების თანხა რეზერვების საერთო თანხის ტოლი იქნება.

სინამდვილეში დეპოზიტების შექმნის პროცესი არც ისე უბრალოა, როგორც ეს მოცემული მოდელიდან გამომდინარეობს. თუ სახსრები, რომლებიც ერთ ბანკში მიღებულია კრედიტის სახით, დეპონირებული არ იქნება და მსესხებელს ხელზე დარჩება ნაღდი ფულის სახით, მაშინ მეორე ბანკში დეპოზიტების მოცულობა არანაირად არ შეიცვლება და დეპოზიტების შექმნის პროცესი ამაზე გაჩერდება. აღნიშნულ მოდელში არ არის გათვალისწინებული ისეთი ფაქტიც, როგორცაა ბანკების მიერ დაკრედიტებაზე ან ფასიანი ქაღალდების თავიანთი ჭარბი რეზერვების მთლიანი მოცულობით გამოუყენებლობა. იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკები თავის ჭარბ რეზერვებს მთლიანად ან ნაწილობრივ დაიტოვებენ, მაშინ დეპოზიტური გაფართოება სრულად არ განხორციელდება. მოყვანილი დებულებები მოწმობენ, რომ ცენტრალური ბანკი ერთადერთი არაა, რომელიც ზემოქმედებს დეპოზიტების მოცულობაზე და მისი მეშვეობით ფულის მიწოდებაზეც.

საქართველის ეროვნული ბანკის 1996 წლის 27 აგვისტოს №30 ბრძანებულების შესესაბამისად ბანკების მიერ მოზიდული სახსრების ხარჯზე ეროვნულ ბანკში სავალდებულო შენახვის მიზნით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები 1996 წლის 1 სექტემბრიდან განისაზღვრება რესურსების 15%-ის ოდენობით, 1997 წლის 29 აგვისტოს №54 ბრძანებულებით 1997 წლის 1 სექტემბრიდან აღნიშნული რეზერვი განისაზღვრა 12%-ის ოდენობით, 1998 წლის 14 სექტემბრის №11 დადგენილებით კი დამტკიცდა 16%-ის ოდენობით, რაც ძალაშია დღევანდელი მდგომარეობითაც.

საქართველოს ეროვნული ბანკის სარეზერვო ფულის მასის მოცულობის და სტრუქტურის დინამიკა ნაჩვენებია 2 ცხრილში [8, გვ.8-9].

ცხრილში მოყვანილი ფულის მულტიპლიკატორის მონაცემები, რომელიც მთელი წლის განმავლობაში 1,01-0,94-ის ფარგლებში მერყეობს, ასევე ადასტურებს, რომ 16%-იანი სავალდებულო რეზერვის ნორმატივი საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ღია ბაზრის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედებით დეპოზიტურ მრავალჯერად ექსპანსიას (100:16=6,25-ჯერ) ვერ უზრუნველყოფს.

ქვეყანაში მიმოქცევადი ფულადი მასა მთლიანი შინა პროდუქტის მოცულობას უნდა შეესაბამებოდეს და ასტიმულირებდეს მის წარმოებას. თუ 1999 წლის იანვარ-აგვისტოს მდგომარეობით ნომინალურმა მთლიანმა შინა პროდუქტმა 3,6 მილიარდი ლარი შეადგინა, ხოლო ფულის მიმოქცევის სიჩქარე 17 ბრუნვის დონეზეა, მაშინ ფულის მასა როგორც მინიმუმი, 216 მილიონ ლარს უნდა შეადგენდეს,

სარეზერვო ფულის მასის მოცულობის და სტრუქტურის დინამიკა 1999 წლის იანვარ-ნოემბრის მდგომარეობით
(ათას ლარებში)

ცხრილი 2.

		იანუარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	სარეზერვო ფულის მასა	273338	267282	262705	264450	272845	267108	278381	296674	299116	318288	292128	
2	ნაღდი ფული მიმოქცევაში	238385	231128	221717	225252	226795	224948	234561	253965	252357	271548	247615	
3	თანხები ბანკების საკორესპოდენტო ანგარიშზე	12094	8636	12219	9700	15003	10439	11934	11858	14950	16947	16391	
4	სავალდებულო რეზერვები	22860	27517	28769	29497	31046	31721	31886	30851	30809	29793	34121	
5	ფულის მიმოქცევის სიჩქარე			19,42			18,89			16,89			
6	ნომინალური მთლიანი შინა პროდუქტი			1233400			2436100			3648500			
7	ფულის მულტიპლიკატორი	1,01	1,00	0,97	0,96	0,96	0,97	0,98	0,96	0,96	0,96	0,94	

რაც მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის (253,3 მილ. ლარი) შემცირებას ან მთლიანი შინა პროდუქტის გაზრდას მოითხოვს. ამასთან დამაფიქრებელია ფულის მიმოქცევის ბრუნვის მაღალი სიჩქარე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ის ბრუნავს ძირითადად მიმოქცევის სფეროსა და ფინანსური ბაზრის სხვადასხვა სექტორებს შორის და წარმოების სფეროს არ ეხება.

მეორე მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში შენარჩუნებული ფულის მასა არ შეესაბამება მთლიანი შინა პროდუქტისა და ფასების დინამიკას. მთლიან შინა პროდუქტის ღირებულებასთან მიმართებაში მიმოქცევაში არსებული ფულის მასა არ აღემატება 6-7 პროცენტს, მაშინ როდესაც დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში იგი მერყეობს 50-70 პროცენტის ფარგლებში. გამომდინარე აქედან, საქართველოში გატარებული მკაცრი მონეტარული პოლიტიკა იწვევს საგადასახდლო სახსრების უკმარისობას, ადგილობრივი ფასების მსოფლიო ფასებთან გათანაბრების პროცესის შენელებას და აფერხებს წარმოების აღორძინება-განვითარებას [6, გვ.78]. ამოცანა ისეთი მოდელის შერჩევაში მდგომარეობს, რომელიც უზრუნველყოფს ოპტიმალურ თანაფარდობას მთლიანი შინა პროდუქტის ზრდის ტემპებსა, სამომხმარებლო ფასების ზრდისა და მიმოქცევაში არსებული ფულის მასის დინამიკას შორის. დღეისათვის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ფულის მასის შემცირების საფუძველზე უზრუნველყოფს მხოლოდ ინფლაციის მოთოკვას და ფასების სტაბილიზაციას და არანაირ სტიმულს არ ქმნის უმუშევრობის დონის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის მიღწევისათვის.

თანამედროვე პირობებში ფულის “დეკრეტირება” ქვეყნის მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ ხდება, რომელთაც ფულის ემისია ევალებათ. უპირატესად ფულის ფასეულობით განისაზღვრება მთავრობისადმი ნდობა, რომელსაც ევალება კონტროლი გაუწიოს ქვეყანაში ფულადი მასის რეგულირებას. დღევანდელ პირობებში მდგარადობა (მსყიდველობითი შესაძლებლობის უცვლელობა) ოქროს მარაგით არ განისაზღვრება. ოქროსთან მიმართების ანალოგიურად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის მთავრობას იგივე ამოცანები აქვს, როგორც ბუნებას, რომელმაც ოქრო შეზღუდული რაოდენობით შექმნა. ცენტრალურმა ბანკმა როგორც ფულის მიწოდება, ასევე მათი შოვნაც უნდა გახადოს შეზღუდული. თუ ქაღალდის ფული შეწყვეტს შედარებითი იშვიათობის თვისების უნარს, მაშინ მისი ფასეულობა დაცემის გზას დაადგება. აქედან გამომდინარე, ქაღალდის ფულის ღირებულების საკითხი განუყოფლად დაკავშირებულია ქაღალდის ფულის რაოდენობის პრობლემასთან, რომელიც მიმოქცევისთვის არის საჭირო. დღეისათვის აღიარებულია, რომ თანამედროვე ფულად მიმოქცევას საფუძველად არ უდევს ოქრო და სხვა საქონელი, არამედ ფულადი მასის ფორმირება კრედიტის საფუძველზე ხდება.

სარეზერვო პოლიტიკა და სავალდებულო რეზერვები დეპონიტებისათვის სადაზღვევო ფონდის ფუნქციას ასრულებენ. სავალდებულო რეზერვების ნორმატივი, როგორც წესი, დიფერენცირდება

ანაბრების სახეობების მიხედვით: რამდენად ნაკლებია ანაბრების მოცულობა და ვადები, იმდენად მეტია სავალდებულო რეზერვების ნორმატივი. აღნიშნული კოეფიციენტის სიდიდე კრედიტის საპროცენტო განაკვეთებზე სათანადო ზეგავლენას ახდენს. აქედან გამომდინარე, მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო, კრედიტებზე მოთხოვნა დაბალია. ასევე, თუ ბანკებისათვის აქტიური ოპერაციების ჩასატარებლად სხვა შესაძლებლობები ამოწურულია, მაშინ ჭარბი რეზერვების ზრდამ შეიძლება არც კი გაზარდოს საკრედიტო დაბანდებების მოცულობა.

ამრიგად, სარეზერვო პოლიტიკა ფულის მიწოდების მოქნილი და ოპერატიული მართვის ინსტრუმენტს არ წარმოადგენს. გარდა ამისა სავალდებულო რეზერვების სადაზღვევო ფუნქციაც ამ ბოლო დროს თანდათანობით მცირდება, ვინაიდან ქვეყნების უმრავლესობამ დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევის პრაქტიკა დანერგა. ამით არის განპირობებული, რომ თანამედროვე საბანკო პრაქტიკაში შეიმჩნევა სავალდებულო რეზერვების ნორმატივის შემცირების ტენდენციები.

სარეზერვო პოლიტიკა მთელ რიგ ქვეყნებში უცხოეთიდან “ცხელი ფულის” ინტერვენციის შეზღუდვის მიზნით გამოიყენება, უფრო ზუსტად, ეროვნულ ფულად ბაზარზე უცხოური ვალუტის შესაზღუდავად. ამ მიზნით უცხოელების (არარეზიდენტების) მიერ ანაბრებზე შემოტანილ თანხებზე სავალდებულო რეზერვების მაღალი ნორმატივებია გათვალისწინებული (საფრანგეთში, მაგალითად ასეთი ნორმატივი აღწევს ანაბრის 100%-ის სიდიდეს). ამით ეროვნული ბანკი აკონტროლებს ვარეშე “რეზერვებს”, აგრეთვე აკავებს ეროვნული ვალუტის მოცულობის ზრდას, რომელიც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის სუფთა ექსპორტზე. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზარზე საკმარის აქტიურ ოპერაციებს ახორციელებს, რადგან ეროვნული ვალუტის მყარი კურსის შენარჩუნება და განმტკიცება მათ კომპეტენციაში შედის. ამრიგად, სავალუტო პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ ფულის მიწოდების რეგულირება, არამედ ეროვნული ვალუტის კურსის შენარჩუნება.

ჩვენი აზრით, დღევანდელ პირობებში მოქმედი მაღალი სარეზერვო ნორმა არ იძლევა ფულად-საკრედიტო ექსპანსიის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, უნდა შეიცვალოს სავალდებულო რეზერვების ფონდის ტრადიციული დანიშნულება და სავალდებულო რეზერვის ნორმატივის, როგორც ბანკის საკრედიტო პოტენციალის რეგულირების ინსტრუმენტად გამოყენების პოლიტიკა.

ცენტრალური ბანკის მინიმალური სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნები მაკროეკონომიკური პროპორციების რეგულირების ინსტრუმენტია ბანკების თავისუფალი რესურსების მოცულობაზე ზემოქმედების გზით. სავალდებულო რეზერვების ნორმატივების გადიდება ამცირებს კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალს და შესაბამისად მათ აქტიურ ოპერაციებს. კომერციული ბანკებისათვის ცენტრალური ბანკის სარეზერვო მოთხოვნის შესრულება, მათთვის სახსრების გაყინვას ნიშნავს, რაც მაღალი ინფლაციის პირობებში უარყოფითად ზემოქმედებს მათ საქმიანობაზე. გარდა ამისა,

ზემოქმედებას, რომელიც ცენტრალური ბანკის სარეზერვო ნორმებით ხორციელდება სადეპოზიტო-სარეზერვო მულტიპლიკატორის სიდიდეზე და სასესხო კაპიტალის ბაზრის მომავალ პერსპექტივაზე მიყვავართ იქამდე, რომ სავალდებულო რეზერვების ნორმატივის უმნიშვნელო ცვლილებებიც კი საკრედიტო ოპერაციების მოცულობის მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევენ. ამიტომ სავალდებულო რეზერვების ნორმატივის სახსრები ცენტრალური ბანკის მიერ გამოიყენება კომერციული ბანკების საქმიანობის გრძელვადიანი რეგულირებისათვის და გადაისინჯება მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ, ფულადი მასის დინამიკასა და მოცულობაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შემთხვევაში. ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის აღნიშნული ინსტრუმენტი ღია ბაზარზე ოპერაციისაგან განსხვავებით, სასესხო კაპიტალის ბაზრის მიმდინარე ოპერატიული რეგულირებისათვის ელასტიური და გამო-სადევი არ არის, რადგანაც მასზე მადესტაბილიზირებულ შემოქმედებას ახდენს.

სავალდებულო რეზერვების ნორმატივი მიმოქცევაში ფულადი მასის განსაზღვრულ დონეზე შენარჩუნების დასარეგულირებლად არის საჭირო. რა თქმა უნდა, დეპოზიტების მულტიპლიკაცია შესაძლებელია, მაგრამ ძალიან რთულია საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების პირობებში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკთაშორისო საკრედიტო ბაზარზე შემდეგი სამი რეალური ფაქტორი მუშაობს: კრედიტის ფასიანობა, მოუგებაში დაინტერესება და ღია ბაზარი. ყველა ესენი დეპოზიტურ ექსპანსიას და ფულადი მასის ზრდას აჩერებენ.

თითოეულმა მომდევნო ბანკმა ყველა წინა ჯაჭვის საპროცენტო ხარჯები უნდა აანაზღაუროს. დეპოზიტის ფასი მატულობს ექსპონენტურად, მაშინ როდესაც დეპოზიტის ექსპანსია წრფივია, ხოლო სავალდებულო რეზერვების ფონდი კი დისკონტირდება კიდევაც. თეორიულად ღია ბაზრის პირობებში შესაძლებელია დეპოზიტის მხოლოდ ერთჯერადი გაყიდვა და არავითარი ექსპანსია არ არსებობს. სავალდებულო რეზერვები საკრედიტო ექსპანსიის შესა-კავებლად საჭირო არ არის და ხშირ შემთხვევაში საზიანო კიდევც.

ამ საკითხში დღემდე არსებული ბარიერების დაძლევა არც ისე იოლია. არსებობს მოსაზრება, რომ საბანკო ფული-სრულფასოვანი ფული არ არის, ისინი ფულად გადაიქცევიან, როდესაც კლიენტების ანგარიშებზე აღმოჩნდებიან. ამისათვის დავაკვირდეთ იმ მსესხებლის ქმედებას, რომელიც საქონელს მეორე საფეხურის ბანკის კლიენტისაგან ყიდულობს. გაყიდველი ამონაგებს დეპოზიტში ამ მეორე ბანკში განათავსებს. ბანკი კრედიტს გასცემს მომდევნო მყიდველზე, ხოლო შემდგომი გაყიდველი ამონაგების დეპონირებას მესამე საფეხურის ბანკში განახორციელებს და ა.შ. ასე გრძელდება ფულადი მასის ექსპანსია.

აღნიშნულმა მსესხებელმა-მყიდველებმა და გაყიდველებმა-მეანაბრებელმა კრედიტზე გადასახადის ექსპანსიით დეპოზიტის ექსპანსიის შესუსტების პროცესი შედარებით ფარული გახადეს, მაგრამ არ გააუქმეს იგი. თუ მყიდველები ისარგებლებენ კრედიტით, მაშინ ისინი

საპროცენტო დანახარჯებს მათ მიერ წარმოებული საქონლის ფასში ჩართავენ და თითოეული შემდგომი მყიდველი ჯაჭვის ყველა წინა მიმწოდებლების კრედიტების ღირებულებას გადაიხდის საქონელზე, რომლის ფასი იზრდება (ე.ი. კრედიტბუცე) მათი შექმნის თვალსაზრისით, ხოლო მათზე მოთხოვნა ეცემა და შენერდება პროდუქციის წარმოების შემდეგი ეტაპებიც. უკვე თეორიულადაც კი საწარმო-საბანკო ჯაჭვში ღია საბანკო და ფულადი ბაზრების პირობებში პროდუქციის წარმოება მხოლოდ ერთჯერადი დაკრედიტებით არის შესაძლებელი. საკრედიტო ექსპანსია პრაქტიკულად გამორიცხულია.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სადეპოზიტო-საკრედიტო ექსპანსიისა და დეპოზიტურ მულტიპლიკაციასთან დაკავშირებით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სავალდებულო რეზერვების ფონდს არ უნდა დაეკისროს საკრედიტო ექსპანსიის შეკავების ფუნქცია, მან უნდა უზრუნველყოს ბანკების ლიკვიდურობა და მენაბრეების წინაშე ვალდებულების შესრულება.
2. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკთა შორისო საკრედიტო ბაზარზე დეპოზიტურ ექსპანსიას და ფულადი მასის ზრდას აჩერებენ ისეთი ფაქტორები, როგორცაა: კრედიტის ფასიანობა, მოგებაში დაინტერესება და ღია ბაზრის არსებობა.
3. სავალდებულო რეზერვების ნორმის შემცირების ერთ-ერთ ფაქტორს კომერციული ბანკის დეპოზიტების დაზღვევა წარმოადგენს.
4. ბანკების მიერ მოსახლეობისაგან მოზიდული სახსრების უდანაკარგოდ დაბრუნების უზრუნველყოფისა და დაბანდებულ სახსრების კუთვნილი სარგებლის კომპენსაციის მიზნით უნდა შეიქმნას ანაბრების სავალდებულო დაზღვევის სახელმწიფო ფონდი იმ ბანკებისა და არასაბანკო დაწესებულებებისათვის, რომლებიც მოსახლეობის თავისუფალ სახსრებს მოიზიდავენ.
5. დეპოზიტების მულტიპლიკაცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია და შესაბამისად კომერციული ბანკებისაგან სავალდებულო რეზერვების ფონდის ფორმირება, საკრედიტო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის გაყინვის გამო, ინფლაციისა და გადახდისუუნარობის მასტიმულირებელია.
6. დეპოზიტური მულტიპლიკაცია თეორიულად სწორია. შესაძლებელია გაიყიდოს დეპოზიტები, მაგრამ მხოლოდ საკუთარი თავის საზიანოდ (ან "ცუდ ბანკზე"), მაგრამ ასეთ შემთხვევაში კრედიტი უკან არ დაბრუნდება ჯაჭვური თანამიმდევრობითაც კი.
7. ღია ბაზრის პირობებში თეორიულად შესაძლებელია დეპოზიტების მხოლოდ ერთჯერადი გაყიდვა და არავითარ საკრედიტო ექსპანსიას არა აქვს ადგილი. ასევე პროდუქციის გაყიდვა მხოლოდ ერთთჯერადი დაკრედიტებით არის მომგებიანი და საკრედიტო ექსპანსია გამორიცხულია.

8. უნდა შემუშავდეს კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემა "კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის და რეგულირების წესის" დადგენილი სავალდებულო რეზერვების ნორმატივის შესაბამისობაში მოყვანისათვის.

ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი და შემოთავაზებული წინადადებები უფრო სიღრმისეულ გამოკვლევა-მოდელირებას მოითხოვს, რათა მათ მიეცეს კონკრეტული მეთოდის სახე საბანკო პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

ლიტერატურა

1. Долан Э. Дж. и др. , Деньги, банковское дело и денежно-кредитная политика, Пер. с англ. , Л., 1991.
2. Жуков Е. Ф. Деньги, Кредит, Банки, М., «Банки и Биржи», 1999.
3. Дробозина Л.А. Финансы, денежное обращение, кредит, М., «Финансы», 1997.
4. Усов В.В. Деньги, денежное обращение, инфляция, М., «Банки и Биржи», 1999.
5. Мышкин Ф. Экономическая теория денег, банковского дела и финансовых рынков, Перюс англ. , М., «Аспект-Пресс», 1999.
6. Месхия Я. Е. Проблемы трансформации денежной и банковской системы Грузии, «Известия» АН Грузии серия экономическая, т.6, 1998, №3.
7. ცაავა გ. ფინანსები, ფულის მიმოქცევა, საბანკო ინჟინერია, კრედიტი, თბილისი, 1999.
8. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი, თბილისი, საქართველოს ეროვნული ბანკი, 1999, №7.

Methodology Problems of Deposit Multiplier and Credit Expansion in Banking System

I. Meskhia, G. Tsaava

Scientific-Research Institute of Financy

"TEMKA", m/r XI, kv.1

Tbilisi 380091, Georgia

SUMMARY. A normative rate of mandatory required reserves (reserve requirement) presents one of the important tools of monetary policy by which it is possible to influence the dynamic of banking loans and deposits.

The increase or decrease of these reserves, deposited in National Bank, subsequently increases or decreases the credit potential of commercial banks. Mandatory requirement on commercial Banks has the same affect as taxes do - they reduce the money circulation, make credits (funds available;) expensive which subsequently reduces demand for them and af the end has a negative affect on economic functioning.

In our research its argued that normative rate of reserve requirement of National Bank of Georgia is high and it should be optimized. Such approach is also determind by the fact that in the world practice the guard function of mandatory requirement has tendency toward moderation and more importance take particularized insurance companies. By our suggested experimental model, comes out that in open markets it becomes possible to halt deposit expansion and growth of money circulation. National Bank is not the only agent who influences the amount of deposits in economy and money supply. In fact, in banking sector the value of deposit's expansion multiplier differs from that suggested by multiple expansion theory. Also attracting funds by commercial banks is more expensive then it is for other financial intermediaries for the reason the latter don't rave requirements on mandatory reserves. For the purpose to increase the competitiveness of banking sector, it is recommended to rise the internet rate on reserve accounts up to market rate. All these facts highlight the matter that it is necessary to conduct monetary policy in a way to stimulate cheap money policy and economic growth.

О ДЕПОЗИТНОЙ МУЛЬТИПЛИКАЦИИ И КРЕДИТНОЙ ЭКСПАНСИИ

Месхия Яков, Цаава Георгий

Тбилиси, 380091

ТЭВЗ, 11м/р, 1 кв.

Научно-исследовательский
институт финансов

РЕЗЮМЕ. Одним из важнейших инструментов денежно-кредитной политики является норматив обязательных резервов (резервные требования), на основе которого осуществляется воздействие на динамику депозитов и банковских ссуд. Рост или уменьшение депонированных в национальном

банке обязательных резервов соответственно уменьшает или увеличивает кредитный потенциал коммерческих банков. Резервное требование к коммерческим банкам действует как налог, уменьшает находящуюся в обороте денежную массу, удараживает кредит и соответственно уменьшает спрос на него, что в конечном счете отрицательно влияет на функционирование экономики.

В работе обосновано, что Национальным банком Грузии установлен высокий норматив обязательных резервов и необходимость его дальнейшей оптимизации. Такой подход обусловлен и тем, что в мировой практике постепенно ослабляется защитная функция резервных нормативов и ее место занимают специализированные страховые компании. На основе предложенной нами экспериментальной модели доказано, что в условиях рыночных отношений на открытом рынке становится возможным приостановление роста денежной массы и депозитной экспансии. С целью повышения конкурентоспособности банковской системы целесообразно повышение платы на остаток резервного фонда до уровня рыночных ставок. Все это указывает на то, что необходима такая трансформация денежно-кредитной политики, которая обеспечивает удешевление кредитов и соответственно стимулирует экономический рост.

ეოკლავადიანი პერიოდის მაკროეკონომიკური მოდელი დარგთაშორისი კავშირების ბლოკით

ანანიაშვილი იური

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, უნივერსიტეტის 2

შემოვიდა 1999 წლის 4 დეკემბერს

რეზიუმე. სტატიაში შემოთავაზებულია წონასწორული ტიპის მოდელი, რომელშიც მაკროეკონომიკურ დამოკიდებულებებთან ერთად განიხილება დარგებს შორის არსებული საწარმოო კავშირების და ერთიანი ღონის ფასების განსაზღვრის სისტემები. მოდელის კერძო ვარიანტისათვის დადგენილია წონასწორული მდგომარეობის არსებობის პირობები.

* * *

შესავალი

ზოგადი ეკონომიკური კანონზომიერებების გამოვლენისათვის და ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული საფუძვლების და პრაქტიკული მიზანშეწონილობის დასაბუთებისათვის აუცილებელია მოდელი, რომელშიც ერთიანი სისტემის სახითაა წარმოდგენილი ეკონომიკაში მოქმედი ყველა ძირითადი ბაზარი მათ შორის არსებული კავშირურთიერთობებით. ამ ტიპის მოდელთა სიმრავლე მრავალფეროვანია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აგრეგირების ხარისხით, ამა თუ იმ ბაზარზე განსაკუთრებული აქცენტის გადატანით, დანიშნულების მიხედვით. ქვემოთ განხილული მოდელი იმ კლასის წონასწორულ მოდელებს განეკუთვნება, რომლებშიც წამყვანი ადგილი დარგთაშორისი კავშირების სისტემას უკავია. მაგრამ სხვა მსგავსი მოდელებისაგან იგი რამდენადმე განსხვავდება ამ კავშირების აღწერის წესით. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მოდელი აგებულია შუალედური, საინვესტიციო და საბოლოო მოხმარების პროდუქტების ჭრილში. ასეთი სტრუქტურის მოდელი, ერთი მხრივ შეიძლება განვიხილოთ როგორც წმინდა ანალიტიკური საშუალება და მის საფუძველზე გამოვიკვლიოთ ამა თუ იმ ცვლადის, პარამეტრის ან ბაზრის გავლენა მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობაზე. მეორე მხრივ, შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფის შემთხვევაში იგი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ მოკლევადიანი საპროგნოზო-ანალიტიკური გაანგარიშებების ჩასატარებლად.

1. დარგთაშორისი კავშირების სისტემა¹

განვიხილოთ ქვეყნის ეკონომიკური სისტემა როგორც n აგრეგირებული დარგის ერთობლიობა. ამ დარგების მიერ წარმოებული პროდუქტები დანიშნულების მიხედვით დავყოთ სამ კატეგორიად:

¹ ქვემოთ წარმოდგენილი სისტემის შედარებით მარტივი ვარიანტი მოცემულია [1]-ში.

შუალედური პროდუქტი, თუ ეს პროდუქტი ეკონომიკაში გამოიყენება მიმდინარე საწარმოო საჭიროებისათვის; საინვესტიციო პროდუქტი, თუ ეს პროდუქტი გამოიყენება ძირითადი კაპიტალის ანუ ძირითადი ფონდების შესაქმნელად და საბოლოო პროდუქტი, თუ ეს პროდუქტი მიემართება საშინაო მეურნეობებისა და სახელმწიფოს მოხმარებაზე. ამასთან ვიგულისხმობ, რომ ესა თუ ის დარგი, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება აწარმოებდეს სამივე სახეობის პროდუქციას ან ერთ-ერთს მაინც. გარდა ამისა, ვიგულისხმობ, რომ ყოველი სახეობის შუალედური, საინვესტიციო და საბოლოო მოხმარების პროდუქტი მხოლოდ ერთ დარგში იწარმოება და მათი გამოშვების მოცულობა შეადგენს შესაბამისად Z -ს, K -ს და Y -ს.

დარგებს შორის საწარმოო კავშირები ძირითადად შუალედური მოხმარების პროდუქტების ნაკადების მოძრაობით შეარდება, ამიტომ დარგთაშორისი კავშირების სისტემა მიზანშეწონილია წარმოვადგინოთ შუალედურ პროდუქტთა წარმოების, განაწილების და გამოყენების ამსახველ შემდეგ განტოლებათა სისტემით

$$Z+M_z=A_zZ+A_kK+A_yY+\theta_z \quad (1)$$

სადაც Z, K, Y არის შესაბამისად Z_i, K_i და Y_i ელემენტებისაგან შემდგარი ვექტორ-სვეტები; M_z, θ_z - შესაბამისად შემოტანილ და გატანილ შუალედური მოხმარების პროდუქტთა ვექტორ-სვეტები; A_z, A_k, A_y - შესაბამისად შუალედურ, საინვესტიციო და საბოლოო მოხმარების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური წესების მატრიცები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მატრიცები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, თუმცა მათი ზოგიერთი სვეტი შეიძლება ერთნაირი იყოს.

ადვილად შევნიშნავთ, რომ (1) რამდენადმე განსხვავდება ველონტივის კლასიკური «დანახარჯები-გამოშვება» მოდელისაგან [2]. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, წარმოადგენს პროდუქტების მთლიანი გამოშვების წონასწორობის სისტემას, (1) კი მხოლოდ შუალედური პროდუქტების მიწოდებისა და მოთხოვნის წონასწორობის მატრიცული განტოლებაა. იგი გვიჩვენებს, რომ წონასწორობის მდგომარეობის დროს წარმოებული შუალედური პროდუქტების (ე.ი. Z -ის) ერთი ნაწილი $-A_zZ$ ხმარდება საკუთრივ შუალედურ პროდუქტთა წარმოებას, მეორე ნაწილი $-A_kK$ საინვესტიციო საქონლის წარმოებას, მესამე A_yY ნაწილი - საბოლოო მოხმარების პროდუქტების წარმოებას, მეოთხე ($\theta_z - M_z$) ნაწილი კი მიდის წმინდა ექსპორტზე.

შემდეგში (1) სისტემის განხილვას განვახორციელებთ ორი მნიშვნელოვანი დაშვების პირობებში.

დაშვება 1. შუალედურ პროდუქტთა წარმოების ტექნოლოგიური წესების A_z მატრიცა არაუარყოფითია და არადაშლადია. არაუარყოფითია, აგრეთვე, A_k და A_y მატრიცები.

ეს ბუნებრივი დაშვებაა და მისი შესრულება გარანტირებულია A_z , A_k და A_y მატრიცების ეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე.

დაშვება 2. A_z მატრიცა აკმაყოფილებს ხოუკინს-საიმონის პირობას, ე.ი. $|E - A_z|$ დეტერმინანტის ყველა მთავარი მინორი $\Delta_1, \Delta_2, \dots, \Delta_n$ დადებითია, სადაც Δ_i მინორი შედგენილია $(E - A_z)$ მატრიცის

პირველი i სტრიქონისა და სვეტის მიხედვით; E -ერთეულოვანი მატრიცაა.

ამ დაშვების შესრულებისათვის საკმარისია, რომ ყოველი შუალედური გამოშვების პროდუქტის ერთეულის წარმოებაში დახარჯული შრომის საგნებისა და განხორციელებული საწარმოო მომსახურების ღირებულების ჯამი არ აღემატებოდეს ერთს და ერთი პროდუქტისათვის მაინც ნაკლები იყოს ერთზე (ბრაუერ-სოლოუს პირობა [3]).

მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ დაშვება 2-ში აღნიშნულ მოთხოვნას მხოლოდ A_z მატრიცას ეუყენებთ. რაც შეეხება დანარჩენ ორ A_K და A_Y ტექნოლოგიურ მატრიცებს, მათთვის ასეთ მოთხოვნას რაიმე პრინციპული მნიშვნელობა არ გააჩნია. ადვილად შეკამჩნევთ, რომ ზემოთ მოყვანილი ორი დაშვების პირობებში, როგორც არ უნდა იყოს არაუარყოფითი A_K და A_Y მატრიცები, ქვეყნის ეკონომიკურ სისტემას წარმოების სხვა ფაქტორებით შესაბამისი უზრუნველყოფის შემთხვევაში თეორიულად ყოველთვის შეუძლია ნებისმიერი მოცემული რაოდენობის საინვესტიციო (K) და საბოლოო მოხმარების (Y) პროდუქტების წარმოება. მართლაც, ვთქვათ საჭიროა გამოშვებულ იქნეს საინვესტიციო და საბოლოო პროდუქტები წინასწარ მოცემული $K \geq 0$ და $Y \geq 0$ ვექტორების შესაბამისად. თუ არ იარსებებს შრომით, კაპიტალით და სხვა ფაქტორებით უზრუნველყოფის პრობლემა, მაშინ მოცემული მიზნის მისაღწევად საკმარისია, რომ ეკონომიკამ საინვესტიციო საქონლის წარმოება უზრუნველყოს $Z_K = A_K K$ რაოდენობის შუალედური პროდუქტით, ხოლო საბოლოო პროდუქტების წარმოება კი $Z_Y = A_Y Y$ რაოდენობის შუალედური პროდუქტით. ვაჩვენოთ, რომ დაშვება 1-ის და 2-ის შემთხვევაში ამის თეორიული შესაძლებლობა არსებობს. ამ მიზნით განვიხილოთ (1) განტოლება და სიმარტივისათვის ჩავთვალოთ, რომ ქვეყნის ეკონომიკაში შუალედური მოხმარების პროდუქტების შემოტანა და გატანა ან არ ხორციელდება, ან თუ ხორციელდება, მათი საღდო ნულოვანი ვექტორია, ე.ი. $M_Z = 0$.

ცნობილია, რომ თუ რაიმე არაუარყოფითი კვადრატული A_z მატრიცა აკმაყოფილებს დაშვება 1 და 2-ის მოთხოვნებს, მაშინ არსებობს დადებითი $(E - A_z)^{-1}$ მატრიცა (იხ. მაგ. [3]). ამიტომ (1) შეგვიძლია შემდეგნაირად გარდავქმნათ

$$Z = B_z(A_K K + A_Y Y) = B_z A_K K + B_z A_Y Y > C, \quad (2)$$

სადაც $B_z = (E - A_z)^{-1}$. მაშასადამე, ნებისმიერი $K \geq 0$ და $Y \geq 0$ ვექტორისათვის არსებობს დადებითი Z ვექტორი, რომელიც იმავდროულად აკმაყოფილებს პირობას

$$Z = Z_z + Z_K + Z_Y = A_z Z + A_K K + A_Y Y.$$

(2)-დან გამომდინარეობს B_z , $B_z A_K$ და $B_z A_Y$ მატრიცების ეკონომიკური შინაარსი. კერძოდ, B_z არის შუალედურ პროდუქტთა მატრიცული მულტიპლიკატორი და მისი b_{ij}^z ელემენტი გამოსახავს სრულ მოთხოვნას i დარგის შუალედურ პროდუქტზე j დარგის ერთი ერთეული შუალედური პროდუქტის გამოსაშვებად. თუ B_z -დან გამო-

ვაკლებთ ერთეულოვან E მატრიცას (ე.ი. დიაგონალური ელემენტებიდან გამოვრიცხავთ წარმოებულ ერთეულ შუალედურ პროდუქტებს), მაშინ $(Bz-E)$ -ს შეიძლება ვუწოდოთ შუალედურ პროდუქტთა წარმოების სრული დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცა. BzA_k მატრიცა არის საინვესტიციო საქონელთა, ხოლო BzA_y საბოლოო მოხმარების საქონელთა მულტიპლიკატორი. ამასთან, BzA_k -ს ელემენტი b_{ij}^k გამოსახავს სრულ მოთხოვნას i დარგის შუალედურ პროდუქტზე j დარგში ერთეული საინვესტიციო საქონლის გამოსაშვებად. ეს ნიშნავს, რომ BzA_k -ს შეიძლება ვუწოდოთ საინვესტიციო პროდუქტების წარმოებაზე სრული დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცა. თავის მხრივ, BzA_y მატრიცის b_{ij}^y ელემენტი ახასიათებს ერთეულ საბოლოო მოხმარების საქონლის საწარმოებლად საჭირო შუალედურ პროდუქტებზე სრულ მოთხოვნას, ამიტომ, BzA_y არის საბოლოო მოხმარების პროდუქტების წარმოებაზე შუალედურ პროდუქტთა სრული დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცა. როცა ადგილი აქვს პირობას $A_z = A_k = A_y$, მაშინ ზემოთ აღნიშნული სრული დანახარჯების კოეფიციენტების სამივე მატრიცა $(Bz-E)$, BzA_k და BzA_y ერთი და იგივეა². მაგრამ, როგორც წესი, $A_z \neq A_k \neq A_y$. ამიტომ ეკონომიკური ანალიზის დროს აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ სრული დანახარჯების კოეფიციენტები შუალედურ, საინვესტიციო და საბოლოო მოხმარების პროდუქტების წარმოებაზე.

უნდა ითქვას, რომ A_z , A_k და A_y მატრიცებს შორის A_z -ის განსაკუთრებულობა გამოვლინდება არა მარტო წარმოების მატერიალურ-ნივთობრივ პროცესში. ამ მატრიცის თვისებებზე არსებითადაა დამოკიდებული, აგრეთვე, წონასწორული ფასების არსებობა (ამ საკითხს მოგვიანებით შევეხებით). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია A_z -ისაგან განსხვავებით A_k და A_y მატრიცები “მეორეხარისხოვანს” წარმოადგენენ, მაგრამ ისინი, თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ შესაბამისი პროდუქტების ფასების კონკრეტული მნიშვნელობის ფორმირებაში. სხვა თანაბარ პირობებში, რაც დიდია A_k და A_y მატრიცების ელემენტები, მით დიდია ამ ტექნოლოგიებით გამოშვებული პროდუქტების შესაბამისი ფასების ვექტორები. ეს, კი საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება ეკონომიკის მრავალ შედეგობრივ მახასიათებელზე.

3. საინვესტიციო და საბოლოო მოხმარების პროდუქტების ბაზარი

(1)-ის თანახმად შუალედური პროდუქტების წარმოების მოცულობას მთლიანად განსაზღვრავს საინვესტიციო და საბოლოო მოს-

² ფაქტიურად ასეთ დაშვებაზეა დაფუძნებული დარგთაშორისი ბალანსის კლასიკური მოდელი [2]. მასში არსებობს ერთადერთი მატრიცული $(E-A)^{-1}$ მულტიპლიკატორი და იგი განიმარტება როგორც საბოლოო პროდუქტების საწარმოებლად მთლიან გამოშვებაზე სრული მოთხოვნის კოეფიციენტების მატრიცა.

მარების საქონელთა წარმოების მოცულობების K და Y ვექტორები. თავის მხრივ, K და Y -ის სიდიდე დამოკიდებულია მოთხოვნაზე, რომელსაც საინვესტიციო და საბოლოო მოხმარების საქონლის ბაზრებზე ავლენენ საშინაო მეურნეობები, მეწარმეები, სახელმწიფო და საგარეო სექტორი. ზოგად შემთხვევაში ამ მოთხოვნის სიდიდე მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ყველა მათგანის განხილვა მნიშვნელოვნად გაართულებს მოდელს, ამიტომ სიმარტივისათვის გამოვეყოფთ ორ ძირითადს: ფასებს და საპროცენტო განაკვეთს. კერძოდ, დავუშვად, რომ ამა თუ იმ საქონელზე მოთხოვნის სიდიდე დამოკიდებულია საკუთრივ ამ საქონლის ფასზე, საპროცენტო განაკვეთზე და ავტონომიურ მოთხოვნაზე, რომელიც ფიქსირებულია და სხვა ფაქტორებით და გარემოებებით განისაზღვრება. მაშასადამე, საინვესტიციო და და საბოლოო მოხმარების საქონლისა და მომსახურების ბაზრის წონასწორობის პირობები შეგვიძლია შემდეგნაირად ჩავწეროთ:

$$K_i = \bar{K}_i (P_{K_i}, r) + \bar{K}'_i, \quad i=1, \dots, n, \quad (3)$$

$$Y_i = \bar{Y}_i (P_{Y_i}, r) + \bar{Y}'_i, \quad i=1, \dots, n, \quad (4)$$

სადაც P_{K_i} არის i სახის საინვესტიციო საქონლის ფასი; P_{Y_i} - i სახის საბოლოო მოხმარების საქონლის ფასი; r - საპროცენტო განაკვეთი; \bar{K}'_i და \bar{Y}'_i - შესაბამისად ავტონომიური მოთხოვნა საინვესტიციო და საბოლოო მოხმარების საქონელზე. ჩანაწერი $\bar{K}_i(P_{K_i}, r)$ და $\bar{Y}_i(P_{Y_i}, r)$ იმაზე მიუთითებს, რომ საინვესტიციო და სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნის \bar{K}_i და \bar{Y}_i ნაწილები შესაბამისად წარმოადგენენ P_{K_i}, r და P_{Y_i}, r პარამეტრების ფუნქციებს. შემდეგში ვიგულისხმებთ, რომ ეს ფუნქციები მოცემულია და წარმოადგენენ ფასისა და საპროცენტო განაკვეთის მიმართ კლებადს.

4. წონასწორული ფასების განმსაზღვრელი სისტემა

(3) და (4) გამოსახულებებში შემავალ ფასების მნიშვნელობათა განსაზღვრისათვის გამოვიყენოთ (1)-ის ორადული მოდელი. ვიდრე მას ჩავწერდეთ, გავაკეთოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი დაშვება.

ჯერ-ერთი, ჩავთვალოთ, რომ ნებისმიერი პროდუქტის ფასის სიდიდეს, გამოყენებული შუალედური მოხმარების პროდუქტების ღირებულების გარდა, განსაზღვრავს ორი ძირითადი ფაქტორის - შრომისა და კაპიტალის დანახარჯი და, აქედან გამომდინარე, მათი კუთვნილი ანაზღაურება და, აგრეთვე, არაპირდაპირი გადასახადები, რომელთა ნორმატივები ეგზოგენურად განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ.

მეორე, ვიგულისხმებთ, რომ ნებისმიერი პროდუქტის ერთეულის წარმოების დროს შრომის ანაზღაურების სიდიდე განისაზღვრება ამ პროდუქტის წარმოების შრომატევადობით და ხელფასის საშუალო დონით w -თი. ეს უკანასკნელი ყალბდება შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე და წარმოადგენს ეკონომიკაში

შრომაზე მთლიანი მოთხოვნისა და შრომის მთლიანი მიწოდების გამაწონასწორებელ სიდიდეს. თუ აღნიშნავთ შუალედურ, საინვესტიციო და საბოლოო მოხმარების პროდუქტების წარმოების შრომატევადობის კოეფიციენტების ვექტორ-სვეტებს შესაბამისად l -ით, k -ით და l_y -ით, მაშინ ზემოთ აღნიშნულის თანახმად, შრომის ანაზღაურების ვექტორები იქნება ωl_z , ωk და ωl_y .

მესამე დაშვება დაკავშირებულია ფასის სტრუქტურაში კაპიტალის მონაწილეობს როლის გარკვევასთან. პროდუქციის ფასის ფორმირებაში კაპიტალი ორგვარად მონაწილეობს. ერთი მხრივ ფასში აისახება კაპიტალის დანახარჯი ამორტიზაციული დანარიცხების სახით. მეორე მხრივ, კაპიტალი როგორც წარმოების ფაქტორი, პროდუქციის შექმნაში მონაწილეობისათვის ღებულობს ანაზღაურებას, რომელიც შრომის ანაზღაურების მსგავსად ჩართულია ფასში საკუთრებიდან შემოსავლის, რენტული შემოსავლის ან მოგების სახით. უნდა ითქვას, რომ ამორტიზაციული დანარიცხების სიდიდის ასახვა ფასში არ წარმოადგენს პრობლემას; რთულია კაპიტალის კუთვნილი წილის დადგენა. ეს იმით აიხსნება, რომ ამ უკანასკნელზე მრავალი გარემოება ახდენს გავლენას. შემდეგში ჩვენ რამდენადმე გავამარტივებთ სიტუაციას და დავუშვებთ, რომ პროდუქციის ფასის ფორმირებაში კაპიტალის მონაწილეობა მთლიანობაში ორი მახასიათებლით განისაზღვრება - პროდუქციის კაპიტალტევადობით ანუ ფონდტევადობით და კაპიტალის საშუალო ფასით ანუ კაპიტალის გაქირავების ფასით v -ით³. კაპიტალის საშუალო ფასი წარმოადგენს ეკონომიკაში არსებული მთლიანი კაპიტალის მიწოდებისა და ამ კაპიტალზე მთლიანი მოთხოვნის გამაწონასწორებელ სიდიდეს. ვთქვათ, f_z , f_k და f_y შესაბამისად აღნიშნავენ შუალედურ, საინვესტიციო და საბოლოო მოხმარების პროდუქტების ფონდტევადობის კოეფიციენტების ვექტორ-სვეტებს. მაშინ, ჩვენი დაშვების თანახმად, კაპიტალის კუთვნილი ანაზღაურების გამომსახველი ვექტორები იქნება $v f_z$, $v f_k$, და $v f_y$.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე წონასწორული ფასების განმსაზღვრელი სისტემა შემდეგი სახით ჩაიწერება

$$P_z = A'_z P_z + \omega l_z + v f_z + \eta_z, \quad (5)$$

$$P_k = A'_k P_z + \omega k + v f_k + \eta_k, \quad (6)$$

$$P_y = A'_y P_z + \omega l_y + v f_y + \eta_y, \quad (7)$$

სადაც P_z , P_k , P_y არის შესაბამისად შუალედურ, საინვესტიციო და საბოლოო მოხმარების პროდუქტების ფასების ვექტორ-სვეტები; η_z , η_k , η_y - შესაბამისად შუალედურ, საინვესტიციო და საბოლოო მოხმარების პროდუქტებისათვის არაპირდაპირი გადასახადების დად-

³ ფორმალური თვალსაზრისით v და ω ზღვრული სიდიდეებია. მაგრამ მათთვის სიტყვა "საშუალო" იხმარება იმ თვალსაზრისით, რომ ისინი შესაბამისი ზღვრული დარგობრივი მახასიათებლების საშუალო (აგრეგირებულ) ტენდენციას აღწერენ.

გენილი ნორმატივების ვექტორ-სვეტები. მოცემულ სისტემაში A_z, A_k და A_y მატრიცებზე დასმული შტრიხი ამ მატრიცების ტრანსპონირების აღმნიშვნელია. აქვე მივუთითებთ, რომ შემდეგში ამ სიმბოლოს როგორც მატრიცებისათვის, ისე ვექტორებისათვის ყოველთვის აღნიშნული შინაარსით ვიხმართ.

რადგან დაშვება 1 და 2-ის თანახმად არსებობს $B_z = (E - A_z)^{-1} > 0$ მატრიცა, ამიტომ არსებობს, აგრეთვე, $B_z = (E - A_z)^{-1}$ მატრიცაც და $(E - A_z)^{-1} = ((E - A_z)^{-1})'$. ამის გამო მარტივი პროცედურებით აქ წარმოდგენილი (5)–(7) სისტემა შეგვიძლია შემდეგნაირად გარდავქმნათ

$$P_z = \omega \alpha_z + \nu \beta_z + \gamma_z, \quad (8)$$

$$P_k = \omega \alpha_k + \nu \beta_k + \gamma_k, \quad (9)$$

$$P_y = \omega \alpha_y + \nu \beta_y + \gamma_y, \quad (10)$$

სადაც

$$\begin{aligned} \alpha_z &= B'_z l_z; & \alpha_k &= (A'_k B'_z l_z + l_k); & \alpha_y &= (A'_y B'_z l_z + l_y); \\ \beta_z &= B'_z f_z; & \beta_k &= (A'_k B'_z f_z + f_k); & \beta_y &= (A'_y B'_z f_z + f_y); \\ \gamma_z &= B'_z \eta_z; & \gamma_k &= (A'_k B'_z \eta_z + \eta_k); & \gamma_y &= (A'_y B'_z \eta_z + \eta_y). \end{aligned} \quad (11)$$

შემდეგში ცალკეულ შემთხვევებში ვისარგებლებთ (8)–(10) გამოსახულების გაშლილი ნაწილებით

$$P_{zi} = \alpha_{zi} \omega + \beta_{zi} \nu + \gamma_{zi}, \quad i = 1, \dots, n,$$

$$P_{ki} = \alpha_{ki} \omega + \beta_{ki} \nu + \gamma_{ki}, \quad i = 1, \dots, n,$$

$$P_{yi} = \alpha_{yi} \omega + \beta_{yi} \nu + \gamma_{yi}, \quad i = 1, \dots, n,$$

სადაც $\alpha_i, \beta_i, \gamma_i$, არის შესაბამისად α, β , და γ ვექტორ-სვეტების ელემენტები. ამასთან, (11)-ის გათვალისწინებით ადვილად შევნიშნავთ, რომ ყველა α_i, β_i , და γ_i პარამეტრი არაუარყოფითია.

(5)–(7) გამოსახულებებს შეიძლება ვუწოდოთ ფასების განსახდერის სტრუქტურული განტოლებები, ხოლო (8)–(10) გამოსახულებას კი – ფასების განსახდერის დაყვანილი განტოლებები. როგორც (8)–(10)-დან გამომდინარეობს, ნებისმიერი პროდუქციის ფასს საბოლოო ჯამში განსახდერავს ხელფასის დონე ω და კაპიტალის გაჭირაების ფასი ν . ამასთან, α და β ვექტორების არაუარყოფითობა იმაზე მიუთითებს, რომ ფასები ω და ν ვექტორების ზრდად ფუნქციებს წარმოადგენენ. (8)–(10) ფუნქციების არაერთგვაროვანი წრფივი სახიდან გამომდინარეობს, რომ განსახილველ მოდელში, სხვა თანაბარ პირობებში, თუ ადგილი ექნება ნომინალური ხელფასის ω -ს ან კაპიტალის ნომინალური ფასის ν -ს გადიდებას (შემცირებას), მაშინ გაიზრდება (შემცირდება), აგრეთვე, ყველა სახის საქონლის ფასი, მაგრამ ფასების ცვლილების ტემპი შედარებით ნაკლები იქნება, ვიდრე ω -ს ან ν -ს ცვლილების ტემპი. ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა და მასზე მოგვიანებით კიდევ შევეჩერებით.

5. შრომისა და კაპიტალის ბაზარი

შრომის ბაზრის წონასწორობის პირობა შემდეგი სახით გამოვსახოთ

$$l_z z + l_k k + l_y y = L(P_y, \omega) \quad (12)$$

ამ ტოლობის მარცხენა მხარე ახასიათებს შრომაზე მოთხოვნის სიდიდეს. მაშასადამე, ვგულისხმობთ, რომ ეკონომიკის მასშტაბით შრომაზე მოთხოვნის სიდიდეს განსაზღვრავს არა რეალური ხელფასის დონე, როგორც ეს ტრადიციულად შრომის ბაზრის კლასიკურ მოდელში განიხილება, არამედ სამივე კატეგორიის პროდუქციის წარმოების მოცულობები. ამგვარი მიდგომით შრომის ბაზარი წარმოებისადმი დაქვემდებარებულ როლს თამაშობს. ამიტომ, შრომაზე მოთხოვნის ეს წესი ექცევა კეინსიანური კონცეფციის ჩარჩოებში, რომლის თანახმადაც მეწარმეები იმ რაოდენობის შრომაზე ავლენენ მოთხოვნას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ განახორციელონ პროდუქციაზე და მომსახურებაზე ევექტორი მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი მიწოდება.⁴

(12)-ის მარჯვენა მხარეში შოცემული ფუნქცია $L(P_y, \omega)$ შრომის მიწოდების ფუნქციაა. შემდგომში $L(P_y, \omega)$ -ის მიმართ ჩვენ დავეყრდნობით ეკონომიკურ თეორიაში ფართოდ გამოყენებულ დაბულებას, რომლის თანახმადაც შრომის მიწოდება რეალური ხელფასის ზრდადი ფუნქციაა. თუ აღვნიშნავთ რეალური ხელფასის სიდიდეს ω -ით, მაშინ ჩვენს შემთხვევაში იგი განისაზღვრება ω და P_y მახასიათებლების საფუძველზე შემდგენიარად

$$\omega = \frac{(1 - \varepsilon_\omega)\omega}{J_y}$$

სადაც ε_ω არის შრომით მიღებული შემოსავლებისათვის დადგენილი საგადასახადო ნორმატივი; J_y - საბოლოო მოხმარების საქონელთა ფასების დონე, რომელიც გაიანგარიშება P_y ევექტორის საფუძველზე. სამომხმარებლო ფასების ინდექსის მსგავსად დაფუძნავთ, რომ J_y წარმოადგენს P_y ევექტორის ელემენტების წრფივ ერთგვაროვან ფუნქციას:

$$J_y = t_{1y}P_{1y} + t_{2y}P_{2y} + \dots + t_{ny}P_{ny},$$

სადაც $t_{1y}, t_{2y}, \dots, t_{ny}$ ფიქსირებული არაუარყოფითი მუდმივებია. გაეთვალისწინოთ აქ P_{iy} -ის მნიშვნელობები (10)-დან. მივიღებთ

$$J_y = \sum_{i=1}^n t_{iy}(\alpha_{iy}\omega + \beta_{iy}v + \gamma_{iy}) = t_{\omega y}\omega + t_{vy}v + t_{\eta y},$$

სადაც

$$t_{\omega y} = \sum_{i=1}^n t_{iy}\alpha_{iy} > 0; \quad t_{vy} = \sum_{i=1}^n t_{iy}\beta_{iy} > 0; \quad t_{\eta y} = \sum_{i=1}^n t_{iy}\gamma_{iy} > 0.$$

ამის საფუძველზე რეალური ხელფასისათვის გვექნება

⁴ Кейнс Дж. М. Общая теория занятости, процента и денег. М., Прогресс, 1978. стр.78, 108.

$$\bar{\omega} = \frac{(1 - \varepsilon_{\omega})\omega}{t_{\omega y}\omega + t_{vy}v + t_{vy}} \quad (13)$$

მაშასადამე, შრომის მიწოდების ფუნქცია ჩვენს შემთხვევაში შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ

$$L(P'_y, \omega) = L(\bar{\omega}) = L\left(\frac{(1 - \varepsilon_{\omega})\omega}{t_{\omega y}\omega + t_{vy}v + t_{vy}}\right); \quad \frac{\partial L}{\partial \bar{\omega}} > 0. \quad (14)$$

ადვილად შევამოწმებთ, რომ

$$\frac{\partial L}{\partial \omega} = \frac{\partial L}{\partial \bar{\omega}} \cdot \frac{\partial \bar{\omega}}{\partial \omega} > 0 \quad \text{და} \quad \frac{\partial L}{\partial v} = \frac{\partial L}{\partial \bar{\omega}} \cdot \frac{\partial \bar{\omega}}{\partial v} < 0.$$

აქედან გამომდინარეობს შემდეგი დებულება.

მტკიცება 1. შრომის მიწოდების ფუნქცია $L(\bar{\omega})$ წარმოადგენს ნომინალური ხელფასის ω -ს ზრდად და კაპიტალის გაპირავეების ნომინალური ფასის v -ს კლებად ფუნქციას.

კაპიტალის ბაზრის წონასწორობის პირობა იგივე პრინციპით აიგება, როგორც შრომის ბაზრის შემთხვევაში განხილული წონასწორობის პირობა. მას შემდეგი სახე აქვს

$$f_z z + f'_k k + f'_y y = \Phi(P'_k, v), \quad (15)$$

სადაც მარცხენა მხარეში მოცემული გამოსახულება არის ეკონომიკის მასშტაბით ძირითად ფონდებზე ანუ კაპიტალზე მოთხოვნის აღმნიშვნელი ფუნქცია, ხოლო მარჯვენა მხარეში მდგარი გამოსახულება $\Phi(P'_k, v)$ კი აღნიშნავს კაპიტალის მიწოდების ფუნქციას. დაეუშვათ, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს კაპიტალის რეალური საშუალო ფასის \bar{v} -ს ზრდად ფუნქციას, სადაც \bar{v} ჩვენს შემთხვევაში განიმარტება როგორც

$$\bar{v} = \frac{(1 - \varepsilon_v)v}{J_k}$$

ამ ფორმულაში ε_v არის კაპიტალით მიღებული შემოსავლისათვის დადგენილი საგადასახადო ნორმატივი; J_k - საინვესტიციო საქონელთა ფასების დონე, რომელიც გაიანგარიშება P'_k ვექტორის საფუძველზე. კერძოდ,

$$J_k = t_{1k}P_{1k} + t_{2k}P_{2k} + \dots + t_{nk}P_{nk},$$

სადაც t_{1k}, \dots, t_{nk} ფიქსირებული არაუარყოფითი მუდმივებია. გავითვალისწინოთ ამ გამოსახულებაში P_{ik} -ს მნიშვნელობები (9)-დან. მაშინ \bar{v} -სათვის მივიღებთ

$$\bar{v} = \frac{(1 - \varepsilon_v)v}{t_{\omega k}\omega + t_{vk}v + t_{nk}}, \quad (16)$$

სადაც

$$t_{\omega k} = \sum_{i=1}^n t_{ik}\alpha_{ik} > 0; \quad t_{vk} = \sum_{i=1}^n t_{ik}\beta_{ik} > 0; \quad t_{nk} = \sum_{i=1}^n t_{ik}\gamma_{ik} > 0.$$

შესაბამისად $\Phi(P'_k, v)$ ფუნქციისათვის გვექნება

$$\Phi(P'_k, v) = \Phi(\bar{v}) = \Phi\left(\frac{(1 - \varepsilon_v)v}{t_{\omega k}\omega + t_{vk}v + t_{\eta k}}\right); \quad \frac{\partial \Phi}{\partial \bar{v}} > 0. \quad (17)$$

თუ განვიხილავთ $\Phi(\bar{v})$ -ს კერძო წარმოებულებს ω -თი და v -თი, მაშინ ადვილად დავრწმუნდებით შემდეგი დებულების სამართლიანობაში.

მტკიცება 2. კაპიტალის მიწოდების $\Phi(\bar{v})$ ფუნქცია წარმოადგენს ნომინალური ხელფასის ω -ს კლებად და კაპიტალის გაჭირავების ნომინალური ფასის v -ს ზრდად ფუნქციას.

ზემოთ მოყვანილ მტკიცებებში წარმოდგენილი შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ω და v სხვადასხვა მიმართულებით ზემოქმედებენ L და Φ ფუნქციებზე. კერძოდ ω -ს გადიდება (შემცირება) ერთდროულად გამოიწვევს შრომის მოწოდების გადიდებას (შემცირებას) და კაპიტალის მიწოდების შემცირებას (გადიდებას), ხოლო v -ს გადიდება (შემცირება) კი გამოიწვევს შრომის მიწოდების შემცირებას (გადიდებას) და კაპიტალის მიწოდების გადიდებას (შემცირებას).

განვიხილოთ ახლა თუ რა გავლენას მოახდენს L და Φ ფუნქციებზე ω -ს და v -ს ერთდროული გადიდება ან შემცირება.

აღვნიშნოთ $d\omega$ -თი და dv -თი შესაბამისად ω -ს და v -ს ნაზრდები. შევადგინოთ L და Φ ფუნქციების სრული ნაზრდის განმსაზღვრელი შემდეგი გამოსახულებები

$$dL = \frac{\partial L}{\partial \omega} \cdot \frac{\partial \omega}{\partial \omega} d\omega + \frac{\partial L}{\partial v} \cdot \frac{\partial \omega}{\partial v} \cdot dv;$$

$$d\Phi = \frac{\partial \Phi}{\partial \bar{v}} \cdot \frac{\partial \bar{v}}{\partial \omega} d\omega + \frac{\partial \Phi}{\partial \bar{v}} \cdot \frac{\partial \bar{v}}{\partial v} \cdot dv.$$

გავითვალისწინოთ $\bar{\omega}$ და \bar{v} სიდიდეების მნიშვნელობები შესაბამისად (13)-დან და (16)-დან. მარტივი გარდაქმნების შემდეგ მივიღებთ

$$dL = \frac{\partial L}{\partial \omega} \cdot \frac{1 - \varepsilon_\omega}{(t_{\omega y}\omega + t_{vy}v + t_{\eta y})^2} [(t_{vy}v + t_{\eta y})d\omega - t_{vy}\omega dv]; \quad (18)$$

$$d\Phi = \frac{\partial \Phi}{\partial \bar{v}} \cdot \frac{1 - \varepsilon_v}{(t_{\omega k}\omega + t_{vk}v + t_{\eta k})^2} [-t_{\omega k}v d\omega + (t_{\omega k}\omega + t_{\eta k})dv]. \quad (19)$$

ამ ტოლობებზე დაყრდნობით შეიძლება დავამტკიცოთ ორი მნიშვნელოვანი დებულება.

მტკიცება 3. დაეუშვათ, ეკონომიკაში არ ხორციელდება არაპირდაპირი გადასახადების ამოღება და ფასების განსაზღვრის განტოლებებში მათი შესაბამისი η ნორმატივები ნულის ტოლია. ასეთ პირობებში თუ ω და v ერთდროულად გაიზრდება (შემცირდება) ისე, რომ მათი შეფარდებითი ნაზრდები ერთმანეთს დაემთხვევა, ე.ი. ადგილი ექნება პირობას

$$d\omega/\omega = dv/v, \quad (20)$$

მაშინ შრომისა და კაპიტალის მიწოდების სიდიდე არ შეიცვლება, ე.ი. $dL=0$ და $d\Phi=0$. მაგრამ თუ არ სრულდება (20), მაშინ L და Φ ფუნქციებიდან ერთ-ერთი გაიზრდება, მეორე კი შემცირდება.

დამტკიცება. ადვილად შეენიშნავთ, რომ როცა ფასების სტრუქტურულ განტოლებებში η_z, η_k და η_y ვექტორები ნულოვანია, მაშინ რეალური ხელფასისა და კაპიტალის რეალური ფასის (13) და (16) ფორმულებში ნულის ტოლი იქნება $t_{\eta y}$ და $t_{\eta k}$ სიდიდეები და

$$\bar{\omega} = \frac{(1-\varepsilon_\omega)\omega}{t_{\omega y}\omega + t_{\omega v}v}; \quad \bar{v} = \frac{(1-\varepsilon_v)v}{t_{\omega k}\omega + t_{\omega v}v}.$$

მაშასადამე, (18) და (19) გამოსახულებები ამ შემთხვევისათვის შემდეგ სახეს მიიღებენ

$$dL = \frac{\partial L}{\partial \bar{\omega}} \cdot \frac{(1-\varepsilon_\omega)t_{\omega y}}{(t_{\omega y}\omega + t_{\omega v}v)^2} (vd\omega - \omega dv); \quad (18')$$

$$d\Phi = \frac{\partial \Phi}{\partial \bar{v}} \cdot \frac{(1-\varepsilon_v)t_{\omega k}}{(t_{\omega k}\omega + t_{\omega v}v)^2} (\omega dv - vd\omega). \quad (19')$$

აქედან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ, თუ სრულდება (20), ე.ი. თუ $vd\omega = \omega dv$, მაშინ $dL=0$ და $d\Phi=0$. (18')-(19') ფორმულები მიგვანიშნებენ, აგრეთვე, იმ გარემოებაზე, რომ ზოგად შემთხვევაში, თუ ω და v ერთმანეთის არაპროპორციულად იზრდება (მცირდება), მაშინ L და Φ ფუნქციებიდან ერთი გაიზრდება, მეორე კი შემცირდება. კერძოდ, რადგან განმარტების თანახმად $\partial L/\partial \omega > 0$, $\partial \Phi/\partial v > 0$, $t_{\omega y} > 0$, $t_{\omega k} > 0$, $\varepsilon_\omega < 1$ და $\varepsilon_v < 1$ ამიტომ, როცა ნომინალური ხელფასის შეფარდებითი ნაზრდი სჭარბობს კაპიტალის ნომინალური ფასის შეფარდებით ნაზრდს, მაშინ $dL > 0$ და $d\Phi < 0$. პირიქით, როცა $d\omega/\omega < dv/v$, მაშინ მცირდება შრომის მიწოდება და იზრდება კაპიტალის მიწოდება, ე.ი. $dL < 0$ და $d\Phi > 0$.

გადავიდეთ ახლა ზოგადი შემთხვევის განხილვაზე, როცა ფასების განსაზღვრის განტოლებებში ჩართულია არაპირდაპირი გადასახადები, რის გამოც (13) და (16) ფორმულებში $t_{\eta y} > 0$ და $t_{\eta k} > 0$. ასეთ პირობებში სამართლიანია

მტკიცება 4. შრომისა და კაპიტალის მიწოდების L და Φ ფუნქციების მნიშვნელობები ერთდროულად არ იცვლება მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $d\omega = 0$ და $dv = 0$. ამასთან, თუ $d\omega \neq 0$ და $dv \neq 0$, მაშინ არსებობს მათი ისეთი კომბინაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ L და Φ ფუნქციების ერთდროულ გადიდებას ან ერთდროულ შემცირებას.

დამტკიცება. დასაწყისში ვაჩვენოთ, რომ L და Φ ფუნქციების მნიშვნელობები ერთდროულად მხოლოდ მაშინ რჩება უცვლელი,

როცა $d\omega = 0$ და $dv = 0$. ამ მიზნით განვიხილოთ (18) და (19) გამო-
 სახულებები. ადვილად შევნიშნავთ, რომ $dL = 0$ და $d\Phi = 0$, მაშინ და
 მხოლოდ მაშინ, როცა ერთდროულად სრულდება შემდეგი პირობები:

$$\begin{aligned} (t_{vy}v + t_{ny})d\omega - t_{vy}d\nu &= 0, \\ -t_{\omega k}vd\omega + (t_{\omega k}\omega + t_{nk})d\nu &= 0. \end{aligned}$$

რადგანაც ამ ერთგვაროვან განტოლებათა სისტემის დეტერმინანტი

$$\begin{vmatrix} (t_{vy}v + t_{ny}) & -t_{vy}\omega \\ -t_{\omega k}v & (t_{\omega k}\omega + t_{nk}) \end{vmatrix} > 0,$$

ამიტომ მას ერთადერთი ნულოვანი ამონახსნი $d\omega = 0$ და $dv = 0$
 გააჩნია.

მტკიცების დარჩენილი ნაწილის სამართლიანობაში რომ
 დავრწმუნდეთ საკმარისია განვიხილოთ, მაგალითად $d\omega$ -ს და dv -ს
 ისეთი მნიშვნელობები, რომელთათვისაც $\frac{d\omega}{\omega} = \frac{dv}{v}$ ⁵. მაშინ (18) და
 (19) გამოსახულებების საფუძველზე ადვილად დავადგენთ, რომ ასეთ
 პირობებში

$$\begin{aligned} dL > 0, \quad d\Phi > 0, \quad \text{როცა} \quad d\omega > 0, \quad dv > 0 \\ \text{და} \\ dL < 0, \quad d\Phi < 0, \quad \text{როცა} \quad d\omega < 0, \quad dv < 0. \end{aligned}$$

რით აიხსნება ის გარემოება, რომ ω -ს და v -ს პროპორციული
 გადიდება (შემცირება) არაპირდაპირი გადასახადების არარსებობის
 შემთხვევაში გავლენას არ ახდენს შრომისა და კაპიტალის მიწო-
 დების სიდიდეზე (იხ. მტკიცება 3), ხოლო არაპირდაპირი გადა-
 სახადების არსებობის შემთხვევაში იწვევს შრომისა და კაპიტალის
 მიწოდების ერთდროულ გადიდებას (შემცირებას)? პასუხი აქ
 მარტივია და შემდეგში მდგომარეობს. პირველ შემთხვევაში, იმის
 გამო, რომ ფასების დაყვანილი განტოლებები ω -ს და v -ს მიმართ
 ერთგვაროვანია, ამ უკანასკნელთა გარკვეული პროპორციით
 ერთდროული გადიდება ან შემცირება იწვევს ფასების შესაბამის
 პროპორციულ ცვლილებას, ამიტომ რეალური ხელფასი \bar{w} და
 კაპიტალის რეალური ფასი \bar{v} უცვლელი რჩება. ეს თავის მხრივ
 განაპირობებს L და Φ ფუნქციების არსებულ დონეზე შენარჩუნებას.
 მეორე შემთხვევაში კი, როცა ადგილი აქვს არაპირდაპირი
 გადასახადების ამოღებას, ფასები ω -ს და v -ს ზრდადი
 არაერთგვაროვანი ფუნქციებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ω -ს და v -ს
 რაიმე მოცემული ტემპით გადიდება (შემცირება) გამოიწვევს ფასების
 გადიდებას (შემცირებას), მაგრამ ამ უკანასკნელთა ცვლილების
 ტემპი შედარებით ნაკლები იქნება, ვიდრე ω -ს და v -ს ცვლილების
 ტემპი. მაშასადამე, თუ ω და v ერთდროულად რაიმე მოცემული
 ტემპით შეიცვლება, მაშინ იგივე მიმართულებით შეიცვლება \bar{w} და
 \bar{v} და, აგრეთვე, შრომისა და კაპიტალის მიწოდება.

⁵ აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს პირობა არ წარმოადგენს აუცილებელს
 იმისათვის, რომ ერთდროულად შესრულდეს $dL > 0, d\Phi > 0$, ან $dL < 0, d\Phi < 0$.

უნდა აღვნიშნოთ, რომ არაპირდაპირი გადასახადების ფასების სტრუქტურაში ჩართვით განპირობებული შრომისა და კაპიტალის მიწოდების ცვლილებები წარმოადგენენ იმ მოვლენის კონკრეტულ დადასტურებას, რომელიც ეკონომიკურ თეორიაში “გადასახადებით გამოწვეული აუნაზღაურებელი დანაკარგების” სახელწოდებით არის ცნობილი [4, გვ.244]. ასეთი “დანაკარგები” შეუძლია გამოიწვიოს, აგრეთვე, პირდაპირმა გადასახადებმაც, რომლებიც ჩვენს მოდელში ε_w და ε_v პარამეტრების საშუალებით გაითვალისწინება. კერძოდ, (13)-დან გამომდინარეობს, რომ სხვა თანაბარ პირობებში ε_w -ს ცვლილება ზემოქმედებს რეალურ ხელფასზე და ამ გზით შრომის მიწოდებაზე, ხოლო (16)-დან გამომდინარეობს, რომ ε_v -ს ცვლილება ზემოქმედებს კაპიტალის რეალურ ფასზე და, შესაბამისად, კაპიტალის მიწოდებაზე. ზოგად შემთხვევაში, რაც მაღალია ε_w , მით ნაკლებია შრომის მიწოდება და, ანალოგიურად, რაც დიდია ε_v , მით ნაკლებია კაპიტალის მიწოდება.

6. ფულის ბაზარი

განვიხილოთ კიდევ ერთი დამოკიდებულება, რომელიც აღწერს ფულზე მოთხოვნისა და ფულის მიწოდების წონასწორობას.

მაკროეკონომიკურ მოდელებში ფულის ბაზრის წონასწორობის დასახასიათებლად ხშირად გამოიყენება ფულის რაოდენობრივი თეორიის განტოლება, რომელიც ჩვენი სიტუაციისათვის შემდეგნაირად ჩაიწერება

$$P_k K + P_y Y = V(r)M, \quad (21)$$

სადაც M არის ეკონომიკაში არსებული ფულის მასის სიდიდე; $V(r)$ -ფულის ბრუნვის სიჩქარე შემოსავლების წრებრუნვაში. V დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთის r -ის სიდიდეზე და წარმოადგენს ამ უკანასკნელის ზრდად ფუნქციას.

ფულის ბაზრის დახასიათება (21)-ის მიხედვით არასრულფასოვანია, რადგან ფულზე ტრანსაქციულ მოთხოვნას K და Y -თან ერთად გარკვეული ხარისხით განსაზღვრავს, აგრეთვე, გარიგებები, რომლებიც დაკავშირებულია ფირმების მიერ შუალედური მოხმარების პროდუქტების შექენასთან. სხვანაირად, ეს ნიშნავს, რომ (21)-ის ნაცვლად უნდა განვიხილოთ განტოლება

$$P_z Z + P_k K + P_y Y = \bar{V}(r)M, \quad (21')$$

რომელშიც \bar{V} ახასიათებს უკვე ფულის ბრუნვის სიჩქარეს ეკონომიკის მთლიან შიგა ბრუნვაში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ (21) განტოლების ნაცვლად მოდელში (21')-ის ჩართვამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ენდოგენური მახასიათებლების მხოლოდ რაოდენობრივ მნიშვნელობაზე, მაშინ, როცა თვისობრივად მოდელი არ იცვლება. მაგრამ, რადგანაც ჩვენს მიზანს წარმოადგენს შემოთავაზებული მოდელით ეკონომიკის თვისობრივი ანალიზი და ამისათვის კი შედარებით მარტივი და მოსახერხებელია განტოლება (21), ვიდრე

(21'), ამიტომ შემდეგში მოდელის სტრუქტურაში ძირითადად განვიხილავთ (21)-ს. ამასთან, ვიგულისხმებთ, რომ მასში $V(r)$ ფუნქციის სახე ცნობილია.

7. წონასწორობის მდგომარეობის არსებობის პირობები

აღვილად შევნიშნავთ, რომ მაკროეკონომიკური მოდელი, რომელიც მთლიანობაში (1), (3)–(7), (12), (15), (21) დამოკიდებულებათა სისტემის სახით აღიწერება, შეიცავს განტოლებათა და უცნობთა ერთი და იგივე რიცხვს. ამასთან, მოდელის ენდოგენურ ცვლადებს წარმოადგენენ Z , K , Y , P_z , P_k , P_y ვექტორები და w , v და r პარამეტრები. დანარჩენი მახასიათებლები კი მოდელში მოცემულია. ამონახსნის ანუ წონასწორობის მდგომარეობის არსებობის საკითხი განვიხილოთ – მოდელის შედარებით მარტივი ვარიანტისათვის. კერძოდ, ჯერ–ერთი ვიგულისხმობთ, რომ ქვეყნის ეკონომიკაში შუალედური მოხმარების პროდუქტთა შემოტანა–გატანა ან არ ხორციელდება, ან თუ ხორციელდება, მათი სალდო ყოველი პროდუქტისათვის ნულოვანია. ეს ნიშნავს, რომ (1)-ის ნაცვლად განვიხილავთ სისტემას

$$Z = A_z Z + A_k K + A_y Y; \quad (1')$$

მეორე, საინვესტიციო და სამომხმარებლო საქონლის ბაზრის წონასწორობის (3) და (4) გამოსახულებები შევცვალოთ შემდეგით

$$K_i = K_i(P_{ki}), \quad i = 1, \dots, n, \quad (3')$$

$$Y_i = Y_i(P_{yi}), \quad i = 1, \dots, n, \quad (4')$$

მესამე, ჩავთვალოთ, რომ ეკონომიკაში არ ხორციელდება არაპირდაპირი გადასახადების ამოღება, რის გამოც (5)–(7) განტოლებებში η_z, η_k და η_y ვექტორები ნულოვანი იქნება და ფასების განტოლებები შემდეგნაირად ჩაიწერება

$$P'_z = P_z A_z + w'_z + v'_z, \quad (5')$$

$$P'_k = P_z A_k + w'_k + v'_k, \quad (6')$$

$$P'_y = P_z A_y + w'_y + v'_y; \quad (7')$$

მეოთხე, მოდელის დამოკიდებულებათა სისტემიდან გამოვრიცხოთ ფულის ბაზრის წონასწორობის პირობა (21). მაშინ მივიღებთ განტოლებათა (1'), (3')–(7'), (12), (15) სისტემას, რომელშიც განტოლებათა და უცნობთა რიცხვი ერთმანეთის ტოლია, მაგრამ ერთით ნაკლებია, ვიდრე საწყის მოდელში⁶.

ვიდრე უშუალოდ (1'), (3')–(7') (12), (15) მოდელის წონასწორობის მდგომარეობის არსებობის შესახებ ვისაუბრებდეთ, განვიხილოთ ეკონომიკურ ლიტერატურაში კარგად ცნობილი მოდელი, რომელიც

⁶ ამ შემთხვევაში უცნობთა საძიებელ სიმრავლეს გამოაკლდება r პარამეტრი

ვალრას-ლეონტიევის ზოგადი წონასწორობის მოდელის სახელ-
წოდებით არის ცნობილი [5,6]:

$$X = AX + C(P', q'), \quad (22)$$

$$P' = P'A + q'D, \quad (23)$$

$$DX = \varphi(P', q'), \quad (24)$$

სადაც X, C, φ, P, q ვექტორ-სვეტები:

$$X = (x_i)_{n \times 1}, \quad C = (c_i)_{n \times 1}, \quad \varphi = (\varphi_\tau)_{m \times 1}, \quad P = (p_i)_{n \times 1}, \quad q = (q_\tau)_{m \times 1},$$

ხოლო A და D მატრიცებია

$$A = (a_{ij})_{n \times n}, \quad D = (d_{ij})_{m \times n}.$$

ამასთან: x_i არის დარგის საქონლის მთლიანი გამოშვება; c_i -
დარგის საქონელზე საბოლოო მოთხოვნა; φ_τ - τ სახის ფაქტორის
მთლიანი მიწოდების სიდიდე; P_i - დარგის საქონლის ფასი; q_τ - τ
სახის ფაქტორის ფასი; a_{ij} - i სახის საქონლის ხარჯვის ნორმატივი j
საქონლის ერთეულის წარმოებაზე; d_{ij} - τ ფაქტორის რაოდენობა,
რომელიც საჭიროა j საქონლის ერთეულის საწარმოებლად; n - დარ-
გების (საქონლის) სახეობათა რიცხვი; m - ფაქტორების სახეობათა
რიცხვი.

(22)-(24) სისტემაში ჩანაწერი $C(P', q')$ ნიშნავს, რომ ყოველი C_i
ელემენტი წარმოადგენს P' და q' ვექტორ-სტრიქონების ფუნქციას:

$$C_i = C_i(P_1, \dots, P_n, q_1, \dots, q_m).$$

ასეთივე შინაარსისაა ჩანაწერი $\varphi(P', q')$, რომლის თანახმადაც
ყოველი φ_τ ელემენტი განისაზღვრება როგორც

$$\varphi_\tau = \varphi_\tau(P_1, \dots, P_n, q_1, \dots, q_m).$$

ვაჩვენოთ, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული (1'), (3') - (7'), (12), (15)
მოდელი შეიძლება დავიყვანოთ (22)-(24) მოდელის მსგავს მათე-
მატიკურ სახეზე. ამისათვის ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარე-
მოებას. (6') და (7') განტოლებებიდან გამომდინარეობს, რომ ფასების
 P_k და P_y ვექტორები დამოკიდებული არიან P_z ვექტორზე და განი-
საზღვრებიან ამ უკანასკნელისა და ω და v პარამეტრების საშუა-
ლებით. მაშასადამე, შეგვიძლია ჩავწეროთ

$$P_{ki} = P_{ki}(P_{z1}, \dots, P_{zn}, \omega, v), \quad i = 1, \dots, n,$$

$$P_{yi} = P_{yi}(P_{z1}, \dots, P_{zn}, \omega, v), \quad i = 1, \dots, n.$$

აღნიშნულის გამო K_i და Y_i სიდიდეები, რომლებიც (3') და (4')
პირობების თანახმად წარმოადგენენ შესაბამისად P_{ki} და P_{yi} ფასების
ფუნქციებს, შეიმდგნაირად შეიძლება გამოვსახოთ

$$K_i = K_i(P_{z1}, \dots, P_{zn}, \omega, v), \quad i = 1, \dots, n,$$

$$Y_i = Y_i(P_{z1}, \dots, P_{zn}, \omega, v), \quad i = 1, \dots, n.$$

ანუ ვექტორული სახით

$$K = K(P_z', q'), \quad Y = Y(P_z', q'),$$

სადაც q' აქ და შემდეგშიც აღნიშნავს ω და v პარამეტრების
ვექტორ-სტრიქონს: $q' = (\omega, v)$.

ადვილად შევნიშნავთ, რომ P'_z -ისა და q' -ის ფუნქციებად გარდაიქმნება, აგრეთვე, შრომისა და კაპიტალის მიწოდების ფუნქციები:

$$L(P'_y, \omega) = \bar{L}(P'_z, q'); \quad \Phi(P'_k, v) = \bar{\Phi}(P'_z, q').$$

ეს გარემოება საშუალებას იძლევა (1'), (3')-(7'), (12), (15) სისტემიდან ცალკე გამოვყოთ (1'), (5'), (12), (15) განტოლებები და გადავწვიროთ ისინი შემდეგნაირად

$$Z = A_z Z + Z_{k,y}(P'_z, q'), \tag{25}$$

$$P'_z = P'_z A_z + q' D_z, \tag{26}$$

$$D_z Z = \varphi_z(P'_z, q'), \tag{27}$$

სადაც

$$Z_{k,y}(P'_z, q') = A_k K + A_y Y;$$

$$D_z = \begin{pmatrix} i'_z \\ f'_z \end{pmatrix}; \quad \varphi_z(P'_z, q') = \begin{pmatrix} \varphi_{Lz}(P'_z, q') \\ \varphi_{\Phi z}(P'_z, q') \end{pmatrix};$$

$$\varphi_{Lz}(P'_z, q') = \bar{L}(P'_z, q') - (i'_k K + i'_y Y);$$

$$\varphi_{\Phi z}(P'_z, q') = \bar{\Phi}(P'_z, q') - (f'_k K + f'_y Y).$$

(25)-(27) სისტემა მათემატიკური ფორმით ანალოგიური ვალრას-ლეონტიევის (22)-(24) მოდელისა. ამ უკანასკნელისათვის დადგენილია საკმარისი პირობები, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფს ერთი მაინც დადებითი ამონახსნის, ანუ წონასწორობის მდგომარეობის არსებობას [იხ. მაგ. 6, გვ. 42-43]. ანალოგიური პირობები (25)-(27) სისტემის დადებითი $Z > 0$, $P'_z > 0$, $q > 0$ ამონახსნის არსებობისათვის ზემოთ მოყვანილ დაშვება 1 და 2-თან ერთად მოიცავს კიდევ შემდეგ ოთხ დაშვებას.

დაშვება 3. D_z მატრიცა არაუარყოფითია, ამასთან i'_z და f'_z ვექტორ-სტრიქონები თითო დადებით ელემენტს მაინც შეიცავს.

დაშვება 4. $Z_{k,y}(P'_z, q')$ ვექტორის ელემენტები წარმოადგენენ არაუარყოფითი P'_z და q' ვექტორების ცალსახა უწყვეტ ფუნქციებს. ნებისმიერი არაუარყოფითი P'_z -ისთვის და ნულისაგან განსხვავებული q' -სათვის $Z_{k,y} \geq 0$ და მისი ერთი ელემენტი მაინც მკაცრად დადებითია.

დაშვება 5. $\varphi_{Lz}(P'_z, q')$ და $\varphi_{\Phi z}(P'_z, q')$ წარმოადგენენ არაუარყოფითი P'_z და q' ვექტორების ცალსახა უწყვეტ ფუნქციებს. ამას გარდა $\varphi_{Lz} \geq 0$, $\varphi_{\Phi z} \geq 0$ და თუ $q' = (\omega, v)$ ვექტორში $\omega = 0$, მაშინ $\varphi_{Lz} = 0$ და თუ $v = 0$ მაშინ $\varphi_{\Phi z} = 0$.

დაშვება 6. ყველა $K_i(P'_z, q')$, $Y_i(P'_z, q')$, φ_{Lz} , $\varphi_{\Phi z}$ ფუნქცია P'_z და q' ცვლადების მიმართ ნულოვანი ხარისხის ერთგვაროვანი ფუნქციაა და სრულდება იგივეობა

$$P_z' \cdot (A_x k + A_y Y) = \omega \varphi_{LZ} + \nu \varphi_{\omega Z} . \quad (28)$$

უნდა ითქვას, რომ აქ წარმოდგენილი ყველა დაშვება მე-5-ს გარდა საკმარისად ბუნებრივია და მათი შესრულება სრულიად შესაძლებელია. ადვილად შეიძლება ვაჩვენოთ, რომ ადგილი აქვს აგრეთვე (28)-ს. რაც შეეხება მე-5 დაშვებას, მას (25)–(27) სისტემაში გარკვეული სირთულეები ახლავს. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ მე-5 დაშვების ის ნაწილი, რომლის თანახმადაც $\varphi_{LZ} = 0$, როცა $\omega = 0$ და $\varphi_{\omega Z} = 0$, როცა $\nu = 0$. საქმე იმაშია, რომ ვალრას–ლეონტიევის (22)–(24) მოდელში ანალოგიური დაშვება შინაარსობრივად ნიშნავს, რომ თუ ამა თუ იმ ფაქტორის ფასი ნულის ტოლია, მაშინ ამ ფაქტორის მიწოდებას ადგილი არა აქვს (ე.ი. მისი ჯამური მიწოდება ნულია). ჩვენს შემთხვევაში φ_{LZ} და $\varphi_{\omega Z}$ ფუნქციები არ წარმოადგენენ ფაქტორების ჯამური მიწოდების ფუნქციებს. ისინი განისაზღვრებიან როგორც კომბინაცია შესაბამისი მიწოდების ფუნქციისა და მოთხოვნის ფუნქციათა ნაწილისა და გამოსახავენ ფაქტორის ჯამურ მიწოდებას მხოლოდ შუალედური პროდუქტის წარმოებაში. ამიტომ, რომ შესრულდეს მე-5 დაშვება, მაგალითად, φ_{LZ} ფუნქციისათვის უნდა ვიგულისხმოთ, რომ როცა ხელფასის საშუალო დონე ω ნულია, მაშინ ადგილი აქვს ერთ-ერთ შემდეგ გარემოებათაგანს:

- 1) ნულს უდრის არა მარტო შრომის ჯამური მიწოდება $L(P_z', q')$, არამედ, აგრეთვე, საინვესტიციო და საბოლოო მოხმარების საქონელზე მოთხოვნის ფუნქციები;
- 2) შრომის მიწოდება ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ საინვესტიციო და საბოლოო მოხმარების საქონელთა წარმოებისათვის.

ცხადია, როგორც ერთი, ისე მეორე მეტისმეტად მკაცრი მოთხოვნაა.

რამდენადმე გავაფართოვოთ ახლა გამარტივებული მოდელი და (1'), (3')–(7'), (12), (15) დამოკიდებულებებთან ერთად განვიხილოთ ფულის ბაზრის წონასწორობის განტოლება (21). ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ (3') და (4') ფუნქციების პირობებში ფულის ბაზრის ჩართვა მოდელის სტრუქტურაში რაიმე განსაკუთრებულ სიმკვლეებს არ გამოიწვევს. ასეთ შემთხვევაში მოდელში შემაჯავალ $Z, K, Y, P_z, P_k, P_y, \omega, \nu$ ცვლადთაგან არცერთი არ არის პირდაპირი სახით საპროცენტო განაკვეთზე დამოკიდებული, ამიტომ ეკონომიკაში ფულის ბაზარი სხვა ბაზრებთან მიმართებაში დაქვემდებარებულ როლს ასრულებს. მათემატიკურად ეს ნიშნავს, რომ (1'), (3')–(7'), (12), (15) განტოლებებიდან ჯერ განისაზღვრება $Z, K, Y, P_z, P_k, P_y, \omega, \nu$ ცვლადები და მხოლოდ ამის შემდეგ (21)-ე განტოლებიდან განისაზღვრება r პარამეტრი. აქედან გამომდინარე, ადვილად შევნიშნავთ, რომ (1'), (3')–(7'), (12), (15), (21), მოდელის წონასწორობის არსებობის საკმარისი პირობები ზემოთ განხილულ ექვს დაშვებასთან ერთად გულისხმობს კიდევ ერთს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს.

დაშეება 7. $V(r)$ წარმოადგენს არაუარყოფითი r პარამეტრის ზრდად ცალსახა უწყვეტ ფუნქციას.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუ $V(r)$ ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაშინ (1'), (3')–(7'), (12), (15), (21) მოდელის თანახმად ფული ეკონომიკაში აბსოლუტურად ნეიტრალურია. იგი არა თუ არ ახდენს გავლენას შუალედურ, საინვესტიციო და საბოლოო პროდუქტების წარმოების მოცულობაზე, არამედ, აგრეთვე არ ზემოქმედებს ფასების (მათ შორის ხელფასისა და კაპიტალის ფასის) მნიშვნელობაზე. ეკონომიკაში ჭარბი ფულის მიწოდება, ან ფულის მასის უკმარისობა მთლიანად კომპენსირდება ფულის ბრუნვის სიჩქარის რეგულირებით, რომლის განმსაზღვრელსაც ჩვენს პირობებში საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს.

ფულის როლის ასეთი უტრირებული წარმოდგენა ნაწილობრივ გაქრება თუ $V(r)$ ფუნქციას გარკვეულ შეზღუდვებს დავადებთ და მთლიანად გაქრება თუ გამარტივებული მოდელიდან გადავალთ საწყის (1), (3)–(7), (12), (15), (21) მოდელზე, რომელშიც მოთხოვნა საინვესტიციო და საბოლოო მოხმარების პროდუქტებზე (3) და (4) პირობების თანახმად საპროცენტო განაკვეთის ფუნქციებს წარმოადგენს. ამ მოდელში ფულის ბაზარი უკვე აქტიურად ზემოქმედებს სხვა დანარჩენ ბაზრებზე. სამწუხაროდ, საწყისი მოდელის დამოკიდებულებათა სისტემა არ დაიყვანება ვალრას–ლეონტიევის მოდელის მსგავს მათემატიკურ სახეზე, რომლისთვისაც კარგად არის შესწავლილი წონასწორული ამონახსნის არსებობის, ერთადერთობის და მდგრადობის პირობები. (1), (3)–(7), (12), (15), (21) მოდელის წონასწორული ამონახსნის არსებობის პრობლემა შემდგომ გამოკვლევას მოითხოვს.

ლიტერატურა

1. ანანიასვილი ი. , ანელაშვილი კ. აგრეგირებული დარგთაშორისი ბალანსის სქემისა და მოდელის ერთი შესაძლო ვარიანტის შესახებ. ეკონომიკა, 1997, №8-10.
2. Леонтьев В. Межотраслевая экономика. М.: Экономика. 1997.
3. Никайдо Х. Выпуклые структуры и математическая экономика. М.: Мир, 1972.
4. Сакс Дж. Ларрен Ф. Макроэкономика . Глобальный подход. М.: Дело, 1996.
5. Интрилигатор М. Математические методы оптимизации и экономическая теория. М.: Прогресс, 1975.
6. Моришима М. Равновесие, устойчивость, рост. Многоотраслевой анализ. М.: Наука, 1972.

МАКРОЭКОНОМИЧЕСКАЯ МОДЕЛЬ С БЛОКОМ МЕЖ- ОТРАСЛЕВЫХ СВЯЗЕЙ ДЛЯ КРАТКОСРОЧНОГО ПЕРИОДА

Ананиашвили Юрий

380002, Тбилиси, ул. Университетская 2,
Тбилисский государственный университет
им. Ив. Джавахишвили

РЕЗЮМЕ. Предложена модель общего равновесия, в которой ведущее место занимает система межотраслевых связей и цен единого уровня. Данная модель отличается от моделей подобного типа прежде всего тем, что она построена в разрезе продуктов промежуточного, инвестиционного и конечного потребления. Такой подход позволяет представить систему межотраслевых связей в виде уравнений, описывающих процессы производства и распределения промежуточных продуктов, и показать особую роль этих процессов в формировании материально-вещественных и стоимостных пропорций экономики.

На основе предложенной модели выявлены некоторые особенности рынков труда и капитала. Кроме того, для частного случая установлены условия существования равновесного состояния.

Short-term Macroeconomic Model with the Block of Intersectoral Links

Ananiashvili Iuri

Iv. Djavakhishvili Tbilisi State University
2, University Str., Tbilisi, 380002, Georgia

SUMMARY. The general equilibrium model in which the system of intersectoral links and the system of determining the unified level of prices are of the most importance, is offered. Unlike the models of the same style, it is first of all constructed for the middle, investment and eventually used products. Such method allows us to reflect the system of intersectoral links by the equations which indicate the processes of middle products producing and distribution, and to underline the importance of such processes in the formation of economic proportions.

Basing on this model some distinctions of labour and capital market are investigated. The conditions for equilibrium existence are also worked out, but only for the private case.

Состояние энергетического сектора Грузии и основные направления его государственного регулирования

Церетели Георгий, Абесадзе Рамаз
380007, Тбилиси, ул. Кикодзе, 14
Институт экономики им. П. Гугушвили
Академия наук Грузии
Поступила 8 сентября 1999 г.

Резюме. На современном этапе развития энергетической сферы в Грузии, когда дважды уменьшилась выработка электроэнергии, до критического уровня снизилось нефтепроизводство, почти прекратилась добыча угля и из-за прекращения подачи природного газа полностью расстроилось теплоснабжение, страна оказалась в остром энергетическом кризисе, который продолжается по сегодняшний день.

Из сказанного, видно, что весьма актуальным является изучение современных экономических проблем в сфере энергетики и вопросов их решения. Именно изучению этих вопросов посвящена данная статья. В ней объяснены причины, вызывающие энергетический кризис в Грузии, проанализированы результаты экономических реформ, проведенных в энергетическом секторе в последние годы, определены основные направления государственного регулирования энергетики в процессе формирования рыночных отношений.

* * *

Энергетика Грузии фактически сформировалась в годы советского строя, поэтому она развивалась в соответствии с интересами Советского Союза как единого государства, и в результате этого оказалась целиком привязанной к союзной энергетической системе. Естественно, после обретения Грузией независимости, энергетический сектор оказался перед сложной проблемой, что вызвало постепенное падение энергетического производства: вдвое уменьшился объем выработки электроэнергии, до критического уровня снизилось производство нефти, практически полностью прекратилась добыча угля, прекратилась также подача природного газа из-за неплатежеспособности, что обусловило расстройство теплоснабжения. Страну охватил острый энергетический кризис.

Из основных причин энергетического кризиса в Грузии можно назвать следующие: бедность собственными теплоэнергоресурсами; отставание развития энергетики в годы советской власти от темпов

роста экономики республики; недостаточность базисных мощностей в электроэнергетике; низкий уровень освоения гидроэнергоресурсов; наличие в отрасли большого количества как физически, так и морально устаревшего энергетического оборудования; ошибки допущенные при проектировании, монтаже и эксплуатации гидроагрегатов; неудовлетворительное состояние электросетей; работа энергосистемы в нестабильном режиме; становление в прошлом традиций расточительного потребления энергии; неплатежи за потреблённую энергию; неплатежеспособность страны в силу экономического спада; наличие в первые годы обретения независимости нестабильного политического положения и тяжелой криминогенной ситуации; нарушение сложившихся связей после распада Советского Союза; сложности перехода отрасли на рыночную экономику.

Вкратце остановимся на существующем в различных сферах энергетики Грузии положении.

В последние годы существования советской власти добыча нефти в Грузии составляла в среднем 180 тысяч тонн в год. При этом осуществлялись значительные работы по открытию новых месторождений. После распада СССР прекратилось централизованное финансирование отрасли и материально-техническое снабжение. А за счёт государственного бюджета Грузии стало невозможным продолжение дорогостоящих геолого-поисковых и нефтедобывающих работ. Создавшееся в стране положение способствовало хищению нефти незаконными формированиями как из нефтепроводов, так и с нефтяных скважин, что вместе с экономическим уровнем поставило перед катастрофой всю отрасль в силу нарушения эксплуатационного технологического режима. В 1995 году добыча нефти катастрофически пала и составила лишь 42 тыс. тонн в год. Невозможным стало осуществление буровых работ.

В указанном положении вывод отрасли из критического состояния не был бы возможным без привлечения иностранных инвестиций. В этом направлении значительная работа была осуществлена руководством компании "Грузнефть". В 1998 году в Грузии уже функционировало 6 совместных нефтедобывающих предприятий. Ими были вложены в отрасль значительные инвестиции, что сделало возможным реабилитацию большей части эксплуатационного фонда и соответственный рост объема добычи нефти. В 1998 году добыча нефти приблизительно составила 120 тыс. тонн. В ближайшем будущем, по прогнозным данным, ожидается открытие крупного нефтяного месторождения.

Нефтеперерабатывающая промышленность Грузии до 1998 года была представлена лишь Батумским нефтеперерабатывающим заводом. На сегодняшний день оборудование и технологические схемы

указанного завода являются устаревшими как физически, так и морально. Необходима модернизация и реконструкция этого завода.

Началом нового этапа в отрасли можно считать строительство в Самгори оснащенного на современном технологическом уровне совместного грузино-американского нефтеперерабатывающего завода, который даст возможность получить в течение года 100 тыс. тонн нефтепродуктов.

Чрезвычайно важным событием является то, что Грузия стала нефтегазотранзитной страной. 10 декабря 1998 года началась транспортировка каспийской нефти по экспортному направлению Баку-Супса. Уже подписано и ратифицировано всеми сторонами соглашение о строительстве большого нефтепровода Баку-Тбилиси-Джейхан, по осуществлении которого еще более возрастет значение Грузии как нефтегазотранзитной страны.

В составе бывшего СССР Грузия была одной из самых газифицированных республик. В ее энергобалансе на долю природного газа приходилось 60-65%. В начале 90-х годов снабжение Грузии газом осуществлялось из Туркмении.

В 1994 году из-за неплатежеспособности подача природного газа прекратилась почти по всей территории страны. Газовое хозяйство оказалось в тяжелом положении. Во всей системе развились коррозионные явления, в связи с чем газопроводы испытывали интенсивный износ. За последние годы за счет собственных средств были проведены частичные реабилитационные работы, в результате чего подача газа была возобновлена во многие города и населенные пункты. По завершении реабилитационных работ подача природного газа будет восстановлена всем тем потребителям, которые получали его в конце 80-х годов. В настоящее время природный газ в Грузию поступает из России. В 1998 году импорт природного газа в Грузию составил около 1200 млн. м³, т.е. всего 22,7% к уровню 1990 года.

В Грузии собственный природный газ добывается в незначительном объеме, как сопутствующий газ. В настоящее время открыто несколько месторождений, из которых добыча промышленного газа пока что по сравнению с потребностями страны осуществляется в малом количестве.

В Грузии добыча угля сравнительно больших масштабов достигла в конце 50-х годов, когда в год добывалось 3,5 млн. тонн. В дальнейшем же массовый переход на сравнительно дешёвые и удобные газовое и жидкое топливо вызвал сокращение объема добычи угля. В 1990 году она составила лишь 996 тыс. тонн. После обретения независимости из-за прекращения централизованного финансового и материально-технического обеспечения производство угля в Грузии почти прекратилось. Развитие указанной отрасли сегодня зависит от появления потребительского рынка угля. В этом направлении выде-

ляется несколько вариантов: использование угля в бытовой и коммунальной сферах; использование угля в различных отраслях промышленности вместо жидкого и газообразного топлива; строительство работающих на угле ТЭЦ и др.

Следует отметить, что добыча угля в Грузии станет прибыльной тогда, когда её объём превысит 600 тысяч тонн в год.

Вышла из строя система теплоснабжения Грузии. На сегодняшний день выделяется тенденция развития автономных источников отопления, хотя отказ от системы централизованного отопления не всегда оправдан. Например, в таких городах (Тбилиси, Зугдиди, Хоби, Сенаки, Поти и др.), где имеются геотермальные воды, создание централизованной системы отопления оправданно, поскольку стоимость энергии будет меньше, более чем в 2 раза, чем в автономных тепловых установках. Также экономически целесообразно использование газотурбинных установок для централизованного теплоснабжения.

Из возобновляемых энергоресурсов в Грузии значительными являются гидроэнергоресурсы, солнечная энергия, энергия ветра и геотермальная энергия.

